პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ოთხშაბათი, 28 ოქტომბერი 1936 წ. № 250 (4749)

დიდი სტალინის სახელოვან თანამებრძოლს, საბჭოთა ხალხების საყვარელ ადამიანს ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს 50 წელი შეუსრულდა!

ამხანაგ გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძეს

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების ორმოცდაათი წლისთავზე მხურვალე ბოლშევიკურ სალამს გიძღვნით თქვენ, ძველ ბოლშევიკს ლენინის გვარდიიდან, დაუღალავ მებრძოლს პარტიის ბოლშევიკური მთლიანობისათვის, მასების გამოჩენილ ხელმძღვანელს, სოციალისტური ინდუსტრიის ბრწყინვალე გამარჯვებათა უაღრესად თვალსაჩინო ორგანიზატორს.

უსაზღვრო ერთგულებამ ლენინის პარტიისადმი, რომლის დიად საქმეს თქვენ თქვენს ძალებს ანდომებთ, თქვენმა დაუღალავმა ენერგიამ და ენტუზიაზმმა, თქვენმა გამბედაობამ, სიმტკიცემ და პირდაპირობამ, თქვენმა ზრუნვამ ადამიანებზე, რომლებიც კომუნიზმის საქმისთვის მუშაობენ, თქვენმა უნარმა მხარი დაუჭიროთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას სამართლიანად მოგიხვეჭეს თქვენ პარტიის, მუშათა კლასის, საბჭოთა ქვეყნის ყველა მშრომელის სიყვარული.

გისურვებთ თქვენ, ძვირფასო გრიგოლ კონსტანტინეს-ძევ, კიდევ მრავალ-მრავალ წელს პირველ რიგებში წაგეწიოთ წინ კომუნიზმის მშენებლობის საქმე.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტი

დიდი ბელადის თანამებრძოლი

ამხანაგ სერგო ორჯონიკიძეს დღეს 50 წელი უსრულდება. მის საყვარელ სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირში პროლეტარული რევოლუციის და სოციალიზმის გამარჯვება.

ამხანაგი სერგო ეკუთვნის ჩვენი პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს იმ გამოჩენილ ხელმძღვანელთა რიცხვს, რომელთაც გავლილი აქვთ ლენინ-სტალინის დიადი სკოლა. დღიდან მისი გამოსვლისა რევოლუციური მოძრაობის ასპარეზზე, ამხანაგ ორჯონიკიძის სახელი მჭიდროდ და განუყრელად არის დაკავშირებული ლენინის და სტალინის სახელთან, რომელთა უშუალო ხელმძღვანელობითაც მუშაობდა იგი ბოლშევიკური პარტიის რკინისებური რიგების გამოჭედვისა, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობისათვის.

უბრალოებამ, ამხანაგურმა მიდგომამ, პირდაპირობამ, დიდმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ და ცოდნამ იგი აქცია რევოლუციონერ მუშათა ფართო წრეების საყვარელ ადამიანად, რომლისაც სჯეროდათ, რომელსაც აფასებდნენ და მიჰყვებოდნენ, როგორც ამხანაგ სტალინის უახლოეს თანაშემწეს და თანამებრძოლს.

მეფის ოხრანკა და ჟანდარმერია დაუნდობლად სდევნიდა მას. მაგრამ სერგო ციხეშიაც და გადასახლებაშიაც შეუპოვარი, გაუტეხელი, რევოლუციური ტემპერამენტით აღსავსე ბოლშევიკი იყო.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გადამწყვეტ დღეებში იგი ლენინთან და სტალინთან ერთად იბრძოდა, მათი ხელმძღვანელობით მიჰქონდა გამანადგურებელი იერიშები სამოქალაქო ომის ფრონტებზე.

ამხანაგ სერგოს სახელთან განუყრელად დაკავშირებულია თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების, კერძოდ ქართველი მენშევიკების განადგურება და გაცამტვერება საქართველოსა და ამიერ-კავკასიაში და აქ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება.

ლენინის და სტალინის უშუალო მითითებებით სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი ჩაუდგნენ სათავეში საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მშრომელთა ბრძოლას კავკასიის კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და 1921 წლის თებერვლის აჯანყების დროში საქართველოში საბოლოო გამარჯვებამდი მიიტანეს.

ამხანაგ სერგოს უშუალო ხელმძღვანელობითა და მეთაურობით, ლენინის და სტალინის დირექტივების განუხრელად განხორციელების საფუძველზე, განმტკიცდა და გამაგრდა საბჭოთა ხელისუფლება ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, მისი უშუალო პრაქტიკული ხელმძღვანელობით შეიქმნა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რამაც ამიერ-კავკასიაში განამტკიცა და განავითარა ხალხთა ძმობა და პროლეტარული სოლიდარობა, თანამშრომლობა.

ამხანაგ სერგოს სახელთან განუყრელად დაკავშირებულია სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის პირველი და შემდგომი წარმატებანი ამიერ-კავკასიასა და საქართველოში, სადაც მან დაარწია სოციალისტური მშენებლობის აკვანი.

ლენინ-სტალინის პარტიის მტრებისადმი, ხალხის მტრებისადმი შეურიგებელი და დაუნდობელი, ამხანაგი სერგო მეთაურობდა ამიერ-კავკასიისა და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების გამარჯვებულ ბრძოლას კულაკობისა და თავადაზნაურობის აგენტურასთან პარტიის რიგებში — ქართულ უკლონიზმთან.

პარტიამ დიდი ბელადის უშუალო მეთაურობითა და ამხანაგ ორჯონიკიძის პრაქტიკული ხელმძღვანელობით ნიღაბი ჩამოგლიჯა ქართველ უკლონისტებს და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიების უბადრუკ ნამსხვრევებთან ერთად ისინიც გააცამტვერა და დაასამარა.

ლენინელ ბოლშევიკის ამ სახელოვანმა და დიდებულმა გზამ, განვლილმა დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით, სამართლიანად მოუპოვა ამხანაგ სერგოს ლენინ-სტალინის პარტიის ერთ-ერთი მეტად გამოჩენილი მოღვაწისა და ხელმძღვანელის სახელი, მთელი საბჭოთა კავშირის და საქართველოს ხალხთა უსაზღვრო სიყვარული.

სოციალისტური მშენებლობის მძიმე წლებში, როცა კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის და კულაკობის აგენტურამ — ტროცკისტულ-ზინოვიევურმა ოპოზიციამ და მემარჯვენეებმა იერიში მიიტანეს ჩვენი პარტიის გენერალურ ხაზზე, ამხანაგი ორჯონიკიძე მტკიცედ და ურყევად იდგა ლენინიზმის პოზიციებზე და დიდი სტალინის გვერდით, მის სხვა თანამებრძოლებთან ერთად, მთელ პარტიასთან ერთად ებრძოდა, ანადგურებდა პარტიისა და ხალხის მტრებს, განუხრელად იცავდა ლენინ-სტალინის პარტიის რიგების სიწმინდეს.

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის სახელოვან პოსტზე ამხანაგი ორჯონიკიძე სათავეში ჩაუდგა იმ უზარმაზარ მუშაობას, რომელიც პარტიამ წარმატებით ჩაატარა სოციალისტური ინდუსტრიის შექმნისა და სწრაფი აღმავლობისათვის. პარტიის გენერალური ხაზი—ეს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ხაზი იყო. და სწორედ ამხანაგ სერგოს მოუხდა დიდი ბელადის უშუალო ხელმძღვანელობით საკუთარ მხრებზე გადაეტანა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბრძოლის სიმძიმე. მას მოუხდა სათავეში ჩასდგომოდა მძიმე ინდუსტრიის მრავალმილიონიან არმიას და დიდი ბელადის ხელმძღვანელობით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დახმარებით, ჩვენი სამშობლო უმოკლეს ხანში გადაექცია მოწინავე ინდუსტრიის ქვეყნად, მანქანებისა და ბლიუმინგების, თუჯისა და ფოლადის, ტრაქტორისა და ავტომობილის ქვეყნად.

იმაში, რომ ჩვენი ქვეყანა სულ მალე გახდა თავდაცვის მხრივ უძლეველი, რომ ის გახდა მოწინავე ტექნიკის ქვეყანა, უდიდესი როლი ითამაშა ამხანაგ ორჯონიკიძის დაუღალავმა, თავდადებულმა მუშაობამ, მისმა დაუცხრომელმა ენერგიამ.

ამხანაგ სერგოს ეს ბოლშევიკური ენერგია ამოძრავებს დღეს ასეულ ათასობით მანქანებსა და დაზგებს, ჩვენი თვითმფრინავების მოტორებს, რომელთაც 15 ათასი მეტრის სიმაღლეზე აჰყავთ საბჭოთა ადამიანები, იგი, ეს ენერგია, მიაღწევს მიწის გულს და იქიდან ამოაქვს უამრავი სიმდიდრე სოციალისტური საზოგადოებისათვის.

საბჭოთა კავშირის მშრომელნი, პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მილიონები სერგოში ხედავენ დიდი ბელადის ურყევ და ბოლომდე თანამიმდევარ თანამებრძოლს და მედგარ ლენინელს, მძიმე ინდუსტრიის რკინის სარდალს, რომელმაც მთელი თავისი მგზნებარე სიცოცხლე სოციალიზმის გამარჯვების საქმეს მოახმარა.

და დღეს, მისი ლამაზი სიცოცხლის ორმოცდაათი წლის თავზე, საქართველოს მშრომელნი გულმხურვალედ ესალმებიან დიდი სტალინის ღირსეულ თანამებრძოლს!

შესანიშნავი გამოფენა

(რადიოგრამა ჩვენი მოსკოველ კორესპონდენტისაგან)

ამხანაგ ს. ორჯონიკიძის დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულების გამო ინგუშთა მუზეუმი გამოფენას აწყობს ქალაქ ორჯონიკიძეში.

სპეციალურ დარბაზში გამოფენილი იქნება მრავალი საინტერესო ექსპონატი. მუზეუმს მოეპოვება დიდძალი წერილობითი მასალა: ყრილობებზე, სხდომებზე ამხ. ორჯონიკიძის გამოსვლების სტენოგრამები, სამოქალაქო ომში ამხანაგი სერგოს მონაწილეობაზე პარტიზანების მოგონებათა სტენოგრამები, გაზეთების კომპლექტები.

გამოფენილი იქნება ინგუშ მხატვართა სურათები, რომლებიც გამოსახავენ ამხანაგ ორჯონიკიძეს: ახრიევისა — „თერგის სახკომსაბჭოს გამომგზავრება ასინის ხეობით", დორბეკოვისა — „მუტირინის დაკრძალვა". გამოფენილი იქნება აგრეთვე მხატვრების იმ წითელ პარტიზანთა სურათები, რომლებიც შეხვედრიან ამხანაგ ორჯონიკიძეს.

მხატვარი ახრიევი იძლევა მთელი იმ გზის ეტიუდებისა და ჩანახატების სერიას, რომელიც ამხ. ორჯონიკიძემ 1919 წელს გაიარა კავკავიდან მთა-ინგუშეთამდე.

გამოფენაზე იქნება იშვიათი ფოტოსურათები: ორჯონიკიძე პოლიტპატიმრებთან ერთად ტფილისში, პოლიტიკური სამხედრო მუშაკნი ორჯონიკიძესთან ერთად გროზნოში, ორჯონიკიძე ნაბდითა და ფაფახით გროზნოში ჩასვლის დროს, აგრეთვე მეფის ოხრანკის მიერ გადაღებული სურათები [illegible]

მისალმებანი

ამხანაგ სერგო ორჯონიკიძისადმი

საკ. ცაკის პრეზიდიუმისაგან

ძვირფასო ამხანაგო სერგო!

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმი შენი დაბადების 50 წლისთავზე მხურვალე სალამს გიძღვნის შენ — ბოლშევიკთა ლენინური პარტიის ერთერთ საუკეთესო ორგანიზატორს და ამხანაგ სტალინის უახლოეს თანამებრძოლს.

შენი სახით პარტიასა და ჩვენს ქვეყანას ჰყავს ნიჭიერი ხელმძღვანელი საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობისა, რომლის წარმატებებმა სსრ კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ ქვეყნად გადააქციეს.

გისურვებთ შენ, ძვირფასო სერგო, მხნეობას და ჯანმრთელობას შემდგომ ბრძოლაში ლენინ-სტალინის საქმისათვის, კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისათვის.

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმი.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ა.-კ. სახკომსაბჭოსაგან

თქვენი დაბადების 50 წლის თავზე ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო მხურვალე სალამს გითვლიან თქვენ, საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრიის რკინის სახკომს, ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგი სტალინის თანამებრძოლს. სუსხიანი ბოლშევიკური არალეგალობის წლებში თქვენ ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი მძლავრი პარტიის ერთერთი მშენებელი იყავით. სამოქალაქო ომის პერიოდში, ასრულებდით რა ლენინისა და სტალინის დირექტივას, თქვენ ანადგურებდით თეთრგვარდიელთა, კონტრრევოლუციის ურდოებს და საერთაშორისო იმპერიალიზმს, ამყარებდით რა საბჭოთა ხელისუფლებას ჩრდილო-კავკასიასა და ამიერ-კავკასიაში. თქვენი უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა ამიერ-კავკასიის ფედერაცია და მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას და დამყარდა ურყევი მეგობრობა ამ რესპუბლიკებს შორის. ამჟამად თქვენი ხელმძღვანელობით მძიმე ინდუსტრია წარმატებით მიდის სსრ კავშირის სოციალისტური ეკონომიკის სათავეში და ზედიზედ აღწევს გამარჯვებას. გისურვებთ თქვენ, ძვირფასო სერგო, კიდევ მრავალი წლის ჯანმრთელ სიცოცხლეს ჩვენი დიდი სამშობლოს და ყველა მშრომელთა საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს დიდ სტალინს!

საკ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი.
ა.-კ. სფსრ სახალხო კომისართა საბჭო.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოსაგან

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო გილოცავენ თქვენ, ძვირფასო სერგო, 50 წლის შესრულებას და გისურვებენ დიდ ძალღონეს, ჯანმრთელობასა და ენერგიას.

საქართველოს ბოლშევიკები და მშრომელები განსაკუთრებული სიყვარულით, სიამაყითა და მადლობით წარმოსთქვამენ თქვენს სახელს. თქვენ ერთერთი იყავით იმათგან, ვინც ცარიზმის წყეულ წლებში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით რაზმავდა და ამხედრებდა საქართველოს მუშებსა და გლეხებს დაუნდობელი ბრძოლისათვის, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, პროლეტარული რევოლუციისათვის.

ლენინისა და სტალინის მითითებებით თქვენ ხელმძღვანელობდით საქართველოს მუშათა და გლეხთა გმირულ ბრძოლას მენშევიკთა, თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ბატონობის წინააღმდეგ. თქვენს სახელთან არის დაკავშირებული საქართველოს ბოლშევიკთა გამარჯვებანი ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების საქმეში, ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცების, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის მტკიცე ურღვევი მშვიდობიანობის დამყარების და ქართული ნაციონალ-უკლონიზმის განადგურების საქმეში.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა უდიდეს ბელადს დიდ სტალინს!

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკთა) ცენტრალური კომიტეტი.
საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო.

ძვირფასო ამხანაგო სერგო!

თქვენი დაბადების 50 წლისთავზე ჩვენს გულწრფელ მოლოცვას გითვლით თქვენ, კომუნიზმის საქმისათვის მტკიცე მებრძოლს, დიდი სტალინის მეგობარსა და უახლოეს თანამებრძოლს. გისურვებთ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

თქვენ, ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს მძიმე ინდუსტრიის არმიის სახელოვანი სარდალი, ყოველთვის იყავით და დარჩით მგზნებარე ბოლშევიკი-ლენინელი. პარტიას თქვენი სახით ყოველთვის ჰყავდა მტკიცე, მამაცი და ურყევი მებრძოლი ლენინ-სტალინის საქმისათვის, ულმობელი — რევოლუციის მტრების, კომუნიზმის მტრების მიმართ.

ბოლშევიკურ არალეგალობაში, ებრძოდით რა შავბნელ რეაქციას, ამზადებდით რა მშრომელთა განთავისუფლებას ცარიზმის უღლისაგან, მემამულეთა და კაპიტალისტების ჩაგვრისაგან, სამოქალაქო ომისა და სოციალისტური მშენებლობის წლებში თქვენ ყოველთვის იდექით ჩვენი პარტიის ფოლადისებურ მებრძოლთა პირველ რიგში.

პარტიამ და ჩვენმა ქვეყანამ დაგაყენათ თქვენ, ერთგული სტალინელი, სოციალისტური მშენებლობის ერთერთ ყველაზე პასუხსაგებ უბანზე. თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მძიმე ინდუსტრიამ უდიდესი გამარჯვებები მოიპოვა და პირნათლად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანები. ჩვენ [illegible] დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობა ახალ დიდ გამარჯვებებს მოიპოვებს. მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფაბრიკა-ქარხნები უფრო მეტს და მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო პროდუქციას მოგვცემენ.

შორეული აღმოსავლეთის მშრომელნი აფასებენ იმ დიდ დახმარებას, თქვენ რომ ყოველდღიურად უწევთ ჩვენს მხარეს, რომელიც მეფის რუსეთის მიგდებული განაპირა კუთხიდან ხდება ინდუსტრიულ სოციალისტურ მხარედ, რომელიც უკვე გადაიქცა საბჭოთა ქვეყნის მიუვალ ფორპოსტად წყნარ ოკეანეზე.

მოხარული ვიქნებით მოგესალმოთ თქვენ შორეულ აღმოსავლეთში, რომელსაც თქვენ ასე ბევრს ეხმარებით. ჩვენი მხარის მშრომელნი უდიდესი სიხარულით აღნიშნავენ ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს მძიმე ინდუსტრიის არმიის სარდლის დაბადების სახელოვან ორმოცდაათი წლისთავს.

ლავრენტიევი, კრუტოვი, ვერნი, პტუხა, ბლიუხერი, დერიბასი, ი. კოსიორი, აარონშტამი, კაპლანი, ვოლსკი, ლემბერგი, რუტენბურგი.

მისალმებანი

საქართველოს ცაკისაგან

თქვენი დაბადებიდან ორმოცდაათი წლის შესრულების დღეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის არმიის სახელოვან სარდალს, ბოლშევიკური პარტიის ერთგულ შვილს და ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის თანამებრძოლს.

საქართველოს მშრომელნი განსაკუთრებული სიყვარულით და სიამაყით წარმოსთქვამენ თქვენს სახელს. ცარიზმის წლებში თქვენ, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით, რაზმავდით და ამხედრებდით საქართველოს მუშებსა და გლეხებს მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად, პროლეტარული რევოლუციისათვის საბრძოლველად.

თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს მშრომელებმა გაანადგურეს მენშევიკები, თეთრგვარდიელები, ინტერვენტები და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

თქვენს სახელთან დაკავშირებულია საქართველოს მშრომელთა გამარჯვებანი სოციალიზმის მშენებლობის საქმეში, ამიერ-კავკასიის ხალხთა ურღვევი ძმური მეგობრობის შექმნის საქმეში.

თქვენს ნიჭიერი, დაუღალავი ორგანიზატორის სახელთან დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის უდიდესი მიღწევები.

თქვენი დაბადებიდან 50 წლისთავის ღირსშესანიშნავ დღეს საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი გისურვებთ თქვენ, ძვირფასო სერგო, ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის და ტფილისის საბჭოსაგან

თქვენი დაბადების 50 წლისთავზე საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი და ტფილისის მუშათა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭო ქალაქ ტფილისის ბოლშევიკთა და მშრომელთა სახელით მხურვალე სალამს გიძღვნიან თქვენ, საბჭოთა კავშირის მძიმე ინდუსტრიის არმიის სახელოვან სარდალს, პარტიისა და ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკებისა და მშრომელებისათვის განსაკუთრებით ძვირფასია თქვენი სახელი, როგორც დიდი **სტალინის** ერთგული თანამებრძოლისა საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების განმტკიცების საქმეში, მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მენშევიკთა, თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა ბატონობის წინააღმდეგ, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის საქართველოს მუშათა და გლეხთა გმირული ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში.

თქვენ სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული განხორციელება **ლენინ-სტალინის** დირექტივისა ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანიზაციისა და განმტკიცების შესახებ ფედერაციის, რომელმაც ისტორიული როლი ითამაშა ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობის განმტკიცების საქმეში, ქართული ნაციონალ-უკლონიზმის განადგურების საქმეში.

მიიღეთ, ძვირფასო სერგო, ჩვენი გულწრფელი მოლოცვა და გულითადი სურვილი ხანგრძლივი და ხანგრძლივი სიცოცხლისა ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადს — დიდ **სტალინს**!

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტი
ტფილისის საბჭო.

ძვირფასო სერგო!

შენი დაბადების 50 წლისთავზე ძმურ ბოლშევიკურ სალამს გითვლით შენ, გენიალური ლენინის ერთგულ მოწაფეს, დიდი სტალინის საუკეთესო თანამებრძოლს.

შენი შეგნებული სიცოცხლის ყველა წელიწადი შენ შესწირე ბოლშევიკური პარტიის მშენებლობის საქმეს, დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების მომზადების საქმეს, სოციალიზმის მშენებლობის საქმეს.

ფარული მუშაობის ყველაზე ძნელ წლებში, სამოქალაქო ომის წლებში, პარტიის მტრებთან—ტროცკისტ გადაგვარებულებთან და მემარჯვენე ოპორტუნისტებთან ბრძოლის წლებში, სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობის საუცხოო წლებში პარტია, მუშათა კლასი და საბჭოთა კავშირის ხალხები გხედავდნენ და გხედავენ შენ მოწინავე საბრძოლო პოზიციებზე.

შენს სახელთან განუყრელად დაკავშირებულია მძიმე ინდუსტრიის ბრწყინვალე გამარჯვებანი, რომელნიც, დიდი სტალინის წინამძღოლობით, მძიმე მრეწველობის მუშაკთა არმიის შენი უშუალო ხელმძღვანელობით, მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ, შექმნა რა ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისა და ჩვენი მშვენიერი სამშობლოს დაცვისათვის.

გისურვებთ შენ მრავალი წლის ჯანმრთელ სიცოცხლეს სოციალისტური მშენებლობის საკეთილდღეოდ, მტრებისთვის თავზარის დასაცემად.

ს. კოსიორი, პოსტიშევი, პეტროვსკი, ლიუბჩენკო, ბალიცკი, იაკირი, ზატონსკი, პოპოვი, შელეხესი, სუხომლინი, ხატაევიჩი, სარქისოვი, შლიხტერი, ვეგერი, ჩერნიავსკი, კუდრიავცევი, პორაიკო, მარკიტანი, სიდორსკი.

კიევი, 1936 წლის 26 ოქტომბერი.

ძვირფასო ამხანაგო სერგო!

აზერბეიჯანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ასსრ სახალხო კომისართა საბჭო მხურვალედ გილოცავენ შენი დაბადების სახელოვან 50 წლისთავს და გულითად სალამს გიძღვნიან შენ, დიდი სტალინის ერთგულ მოწაფეს და შეუდრეკელ თანამებრძოლს, ბოლშევიკური პარტიის ერთერთ გამოჩენილ მშენებელს — ჩვენს საყვარელ ძველ ბაქოელს.

ამხანაგ სტალინთან ერთად, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, შენ, ამხანაგო სერგო, იყავი ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის განმტკიცებისათვის, ბაქოსი და აზერბეიჯანის ბოლშევიზმის მიუვალ ციხე-სიმაგრედ გადაქცევისათვის ბრძოლის ერთერთი ორგანიზატორი.

შენს სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული ბაქოს ბოლშევიკებისა, პროლეტარებისა და მთელი აზერბეიჯანის მშრომელთა გმირული ბრძოლა ინტერვენტებისა და მათი მოსყიდული აგენტურის — მუსავატელების წინააღმდეგ.

საბჭოთა აზერბეიჯანის ბოლშევიკები და მშრომელები ამაყობენ ამხანაგ სტალინის სიტყვებით, რომელიც მან სთქვა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა მიერ აზერბეიჯანის დელეგაციის მიღებაზე რესპუბლიკის 15 წლისთავთან დაკავშირებით:

„სალამი აზერბეიჯანის განმათავისუფლებელს! იგი პირველი შევიდა აზერბეიჯანში!".

აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ბოლშევიკებმა შენი უშუალო ხელმძღვანელობით გამოაშკარავეს და გააცამტვერეს მენშევიკების, მუსავატელების, დაშნაკების კონტრრევოლუციურ პარტიათა ნამსხვრევები და ყველა ჯურის ნაციონალ-უკლონისტები და უზრუნველჰყვეს ამიერ-კავკასიის ხალხთა სტალინური მეგობრობა და ინტერნაციონალური შეკავშირება.

შენს სახელთან, დიდი სტალინის უახლოესი თანაშემწის სახელთან, განუყრელად დაკავშირებულია სოციალიზმის მძიმე ინდუსტრიის გამარჯვებანი და ჩვენი უძლეველი წითელი არმიის შეიარაღება მძლავრი სამხედრო ტექნიკით.

დაუვიწყარ სერგეი მირონის-ძე კიროვთან ერთად, ამხანაგი სტალინის ხელმძღვანელობით, შენ სათავეში ჩაუდექი ბაქოს ბოლშევიკებისა და ბაქოს პროლეტარების ბრძოლას აზერბეიჯანის ნავთის მრეწველობის მძლავრი აღმავლობისათვის, მისი ტექნიკური რეკონსტრუქციისათვის.

ბაქოს ნავთის მუშაკები, სარეწაოებისა და ქარხნების სტახანოველები ყოველდღე გრძნობენ შენს დახმარებას, ზრუნვას და ყურადღებას. შენ აიარაღებ მათ თავიანთი ვალდებულებების შესასრულებლად პარტიისა და ქვეყნის წინაშე, ჩვენი დიდი და საყვარელი სტალინის წინაშე.

გისურვებთ შენ, ძვირფასო სერგო, მრავალი და მრავალი წლის სიცოცხლესა და მუშაობას, მშობლიური სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით, ჩვენი დიდი სამშობლოს მშრომელთა სასიხარულოდ.

აზერბეიჯანის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე უს. რახმანოვი.
აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ბაქოს კომიტეტის მდივანი
მ. ჯ. ბაგიროვი.

ამხ. სერგო ორჯონიკიძე სოხუმის საპყრობილეში 1906 წელს. „სოიუზფოტოს" საქ. განყ.

ჩვენი სერგო

მიხა ცხაკაია

ამხ. სერგოსთან ერთად არალეგალურად მე არ მიმუშავნია. მისი ამბავი გამიგონია საზღვარგარეთ საყვარელი ამხანაგის და გმირი კამოსაგან.

ამხ. სერგოს გავეცანი 1920-21 წელს სამხრეთის ფრონტიდან ჩემი ერთერთი ჩამოსვლის დროს. სერგო მეწვია „ლუქსში" — კომინტერნის საერთო საცხოვრებელში.

ამის შემდეგ 1922 წელს ნაციონალ-უკლონისტებთან საქართველოს კომპარტიის ცხარე ბრძოლის დროს მოსკოვიდან მოკლე ხნით ჩავედი ტფილისში, სადაც ამხანაგ სერგოსთან ერთად მხურვალე მონაწილეობას ვღებულობდი საბჭოთა საქართველოს პარტიულ და საბჭოთა მუშაკების პასუხისმგებ კრებებზე (ამიერ-კავკასიის ფედერაცია ჯერ კიდევ გაფორმებული არ იყო. ეს იყო ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობამდე ბაქოში).

1923 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან საბოლოოდ გადაველი ტფილისში (ა.-კ. სახსრ. ცაკის პირველ თავმჯდომარედ).

მე მოვასწარი ამხანაგ სერგოსთან მემუშავნა სამნახევარი წელიწადს, 1923-1926 წლებში.

შემდეგ ამხ. სერგო გადაიყვანეს ჩრდილო-კავკასიაში, იქიდან მოსკოვში მუდმივ სამუშაოზე: ცენტრ. საკონტროლო კომისიასა და მუშათა და გლეხთა ინსპექციაში, შემდეგ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში, დაბოლოს სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატში და საკ. კ.პ. (ბ) ცენ. კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

მრავალეროვან და მრავალტომიან ამიერ-კავკასიაში ამხ. სერგოსთან ერთად მუშაობის დროს შევნიშნე, რომ მთავარი და ძირითადი ამხანაგ სერგოში—ეს იყო მისი კოლოსალური ენერგია და უანგარო თავდადება პარტიის გენერალური ხაზის, ლენინ-სტალინის სწორი ნაციონალური პოლიტიკის გატარებაში სსრ კავშირის ამ ძნელ უბანზე, მრავალეროვან, ამიერ-კავკასიაში; ის იყო აგრეთვე აქტიურ ბრძოლაში, ნაციონალ-უკლონისტებთან საჭიროების დროს ოსტატური მანევრირების მოქნილობა, ნაციონალ-უკლონისტების დაუნდობელი ორგანიზაციული და პოლიტიკური ლიკვიდაცია, მათი წრიდან პარტიისათვის გამოსადეგი კადრების დაუფლება.

გონიერი, ბრძნული, ნამდვილი სტალინური ტაქტიკის მეოხებით ჩვენ ამხანაგ სერგოსთან ერთად სწრაფად შევსძელით ბოლო მოგველო აგრეთვე დასავლეთ საქართველოში 1924 წელს მომხდარ მენშევიკურ ავანტიურისათვის. პარტიული კადრების მუშაობის მონოლითობის განმტკიცებამ შიგნით და შეთანხმებულმა პარტიულმა და სახელმწიფოებრივმა მუშაობამ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში, ამხანაგი სერგოს მეთაურობით, საშუალება მოგვცა ბრწყინვალედ შეგვესრულებინა ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური გაერთიანების მისია და მოგვეხერხებინა ამ რესპუბლიკებისა: აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის როგორც ეკონომიკის, ისე ამ სამ ძირითად რესპუბლიკაში მოსახლე ყველა ხალხის კულტურის ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურის — სწრაფი განვითარება.

ახალი სტალინური კონსტიტუციით ამიერ-კავკასიის ფედერაცია უქმდება, რადგან მან უკვე ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ისტორიული დანიშნულება. ამიერ-კავკასიის სამი ძირითადი რესპუბლიკა: საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი, რომლებიც სავსებით მომწიფდნენ ამ საქმისათვის, გახდებიან მოკავშირე რესპუბლიკებად, რასაკვირველია სსრ კავშირის ყველა სხვა ხალხთან ამიერ-კავკასიის ხალხთა წმინდა სტალინური მეგობრობის არა მარტო შენარჩუნების, არამედ კიდევ უფრო გაძლიერების პერსპექტივით.

ამ მეგობრობის მტკიცე საძირკვლის ჩაყრაში, მტკიცე კავშირის შექმნაში — უდიდესი როლი და დამსახურება მიუძღვის ამხ. სერგო ორჯონიკიძეს.

აი, მოკლედ, რა შემიძლია ვსთქვა ამხანაგ სერგოზე. მინდა დავძინო ჩემი მხურვალე სურვილი, რომ ამხ. სერგომ იცოცხლოს დიდხანს —სულ დიდხანს.

(გადმოცემულია მოსკოვიდან ტელეგრაფით)

ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ჭეშმარიტი მეგობარი

ბ. კასტოევი

1919 წლის თებერვალს, სოფელ ბაზორკინოში, ფუაროვის ყოფილ ბაღში, გაიხსნა შეიარაღებული ინგუში ხალხის ყრილობა. ყრილობაზე იყო არა ნაკლებ 2 ათასი შეიარაღებული მხედრისა.

ყრილობა გახსნა რსფსრ სახკომსაბჭოს საგანგებო კომისარმა სამხრეთ-რუსეთში ამხ. სერგო ორჯონიკიძემ. მას ეცვა შავი ტუჟურკა გადმოკეცილი საყელოთი, მოთრიმლული ქუდი, შეიარაღებული იყო მაუზერით. იგი იდგა ფუაროვის ყოფილი სახლის აივანზე. მასთან იყვნენ თერგის რესპუბლიკის შემდეგი პასუხისმგებელი მუშაკები: ამხ. ამაიაკ ნაზარეტიანი, იური ფიგატნერი, დიგუროვი (იუსტიციის სახკომი), გაპურ ახრიევი (ნაციონალურ საქმეთა კომისარი), მუსა სოტიევი (ინგუშეთის შეიარაღებული ძალების სარდალი), მუდარ ალიევი (ინგუშთა სოციალისტური რაზმის მეთაური), ზაურბეკ ტუტაევი, (ინგუშთა ფრაქციის წევრი თერგის სახკომსაბჭოსთან) და სხვები.

თავის სიტყვაში, რომელიც საათზე მეტს გაგრძელდა, ამხ. სერგო დაწვრილებით შეჩერდა მიმდინარე პოლიტიკურ მომენტზე და თერგის მხარეში დენიკინის შემოტევაზე. ის ლაპარაკობდა იმ მონობის შესახებ, რომელიც თეთრგვარდიელებს მოაქვთ მთიელი ხალხებისათვის. სერგო ორჯონიკიძის სიტყვა ინგუშურ ენაზე სთარგმნა გაპურ ახრიევმა.

ამხ. სერგომ მიჰმართა დელეგატებს და სთქვა:

— მთიელო, კერძოდ ინგუშო კონტრრევოლუციონერები კარგად მღერიან, — ყოველმხრივ ცდილობენ შეცდომაში შეგიყვანონ თქვენ თავისი საკუთარი ექსპლოატატორული ინტერესებისათვის. მე არ მიკვირს, რომ თუ ყველა თქვენგანმა არა, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთმა იცის, თუ რას ესწრაფვიან კონტრრევოლუციური ზედაფენები. მათ სურთ თქვენს უბედურებაზე თავისი ბედნიერება ააშენონ. თუ აქ კონტრრევოლუციამ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება, ეს რევოლუციის დროებითი დამარცხება იქნება, ისინი დიდხანს ვერ იარსებებენ. ჩვენ კვლავ შევხვდებით აქ ერთმანეთს, — ერთად მოვეირჩენთ იმ ჭრილობებს, რომელთაც თქვენ ამჟამად გაყენებთ კონტრრევოლუცია.

ამ სიტყვების შემდეგ ამხ. სერგომ ყრილობაზე გამოაცხადა მთიელების საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

მთიელების საბჭოთა რესპუბლიკის გამოცხადებას ყრილობაზე მგზნებარე ვაშათი შეხვდნენ. სერგო ორჯონიკიძის სიტყვის საპასუხოდ ინგუში მშრომელი ხალხის სახელით სამადლობელი სიტყვით გამოვიდა რევოლუციურად განწყობილი პატივცემული მოხუცი საიდ ფარჩიევი (1919 წლის ივნისში მოჰკლეს თეთრებმა შეიარაღებული აჯანყების დროს სოფელ ეკაჟევოსა და სურხოხში). მან მიმართა ამხ. სერგოს და უთხრა:

— შენ ნამდვილი შევარდენი ხარ. შენი ფრთებისთვის ეს მიწა ცოტაა. როდესაც კონტრრევოლუცია დათრგუნვილი იქნება, მაშინ გაიშლება ფართოდ შენი შევარდენის ფრთები.

არ დაივიწყო მაშინ უპატრონო, გაღატაკებული ინგუში მასები.

შენი ხელმძღვანელობით მათ იციან სროლა და სიკვდილი რევოლუციის საქმისათვის და შემდეგშიაც ესვრიან მტერს, მაგრამ ინგუშთა კულტურა და მეურნეობა ღარიბია. ნუ დაგვივიწყებ, როდესაც დადგება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ჟამი.

ამხ. სერგომ წინადადება მისცა ინგუშეთის მთელი შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს საუტიევს, იქ მყოფ შეიარაღებულ მხედართა ძალებით გაემაგრებინა დოლაკოვის, კაკაკვის და პლიევის ფრონტები გენერალ შკუროს და გეიმანის ბანდების წინააღმდეგ. ამხ. საუტიევი დაუყოვნებლივ შეუდგა სერგო ორჯონიკიძის ამ განკარგულების ასრულებას. თვითონ ამხ. სერგო დღეში რამდენჯერმე იყო ხოლმე მისვლებს. დოლაკოვის ფრონტებზე, გერმანელთა კოლონიასთან, კაკადევთან და პირადად ხელმძღვანელობდა ბრძოლებს.

1919 წლის 11 თებერვალს სოფლები ბაზორკინო, კანტიშევო, დოლაკოვო და ქალაქი კაკადი დაიკავეს შკუროს თეთრმა ბანდებმა.

ამხ. სერგო ამხ. ფიგატნერთან, ნაზარეტიანთან, ბუტირინთან, მალსაგოვთან, ინალუკთან და სხვებთან ერთად ღამე ფუაროვის ბაღიდან ნაზრანს გაემგზავრა.

ნაზრანიდან ამხ. სერგო და მთავრობის წევრები მანქანით გაემგზავრნენ სურხოხში, იქიდან კი ცხენებით სოფელ გალაშკში.

ამხ. სერგომ სწრაფად იცოდა მთიელი მშრომელი მასების სულისკვეთებასა და ზრახვებში გარკვევა და მათი წაყვანა შეკავშირებული, შემჭიდროვებული რიგებით ერთი მიზნის — თავისი ნაციონალური და პოლიტიკური განთავისუფლების — განსახორციელებლად.

◆

დოკუმენტები ამხ. ს. ორჯონიკიძის რევოლუციურ მოღვაწეობიდან

საბრალმდებლო აქტიდან

გრიგოლ კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძეს, 21 წლისა, ბრალდება, რომ იგი 1905 წლის დამლევს სოხუმის ოლქის დ. გუდაუთში სხვა პირებთან ერთად მონაწილეობას იღებდა თანასაზოგადოებაში, რომელმაც თავისი საქმიანობის მიზნად დაისახა რუსეთში არსებული საზოგადოებრივი წყობილების დამხობის ცდა, რაც მან იცოდა, ამასთან, როგორც ამ თანასაზოგადოების წევრმა, მის ამოცანათა განსახორციელებლად დ. გუდაუთში შეინახა თედორე სახოკიას მიერ საზღვარგარეთიდან შემოზიდული იარაღი და იმავე დაბაში საჯაროდ არაერთხელ წარმოუთქვამს სიტყვები, რომლებშიაც მოუწოდებდა ხალხს არ გადაეხადათ გადასახადები, უარი ეთქვათ ჯარისკაცთა მიცემაზე, მოესპოთ ადმინისტრაცია და პოლიცია, დაემხოთ მეფე რომელიც „ხალხის მტერია", დაეყოთ მიწა თანაბრად ყველას შორის, ამასთან თავის გამოსვლას ამთავრებდა სიტყვებით: „ძირს ნიკოლოზ II!".

ეს დანაშაული გათვალისწინებულია სისხლის სამართლის დებულების მე-126 მუხლით.

ამის გამო და სისხლის სამართლის დებულების სასამართლო წარმოების 1032 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, ხსენებული ორჯონიკიძე გასამართლებულ უნდა იქნას ტფილისის სასამართლო პალატის მიერ წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

შედგენილია 1908 წლის 28 თებერვალს ქ. ტფილისში.

ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი **ა. მოხკალიოვი.**

ამხ. სერგო ორჯონიკიძე და ლავრენტი ბერია (ტფილისი, 1934 წ.)
ფოტო ლისიცინისა („სოიუზფოტო")

მებრძოლი ბოლშევიკი ხელმძღვანელი

ს. კუხალეიშვილი

1905 წელს ამხ. სერგო ორჯონიკიძე ტფილისის საფერშლო სკოლის დამთავრების შემდეგ გუდაუთში ჩამოვიდა და იგი რ. ს. დ. მ. პ. საოლქო კომიტეტის შემადგენლობაში შეიყვანეს.

გუდაუთში ყოფნისას ამხ. სერგო ხელმძღვანელ როლს თამაშობდა სოხუმის საოლქო კომიტეტში და მთელს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში.

1905 წლის გაჩაღებული რევოლუციური გამოსვლების დროს ამხ. სერგომ გუდაუთში მებრძოლი რაზმი მოაწყო.

1905 წლის დამლევს სოფელ ბომბორში გადმოტვირთეს საზღვარგარეთიდან მიღებული იარაღი. გადმოტვირთვას თვით ამხ. სერგო ხელმძღვანელობდა. თოფების მეტი ნაწილი წითელრაზმელ გლეხებს დაურიგეს. მაგრამ იარაღის ნაწილი დაიჭირეს და ამხ. სერგო დააპატიმრეს რამდენიმე ამხანაგთან ერთად. რომელთა შორის იყვნენ ამხ. დომენტი ქუჩულორია, ერასტი სასანია და ვასილ კონჯარია. ყველა ისინი სოხუმის საპატიმროში გაგზავნეს.

ამავე დროს სოხუმში დააპატიმრეს პარტიული ორგანიზაციის აქტივი.

საპატიმროში ამხ. სერგო 11 ამხანაგთან ერთად იჯდა მეხუთე საკანში, მე და ამხანაგი ლევან გოთოშია კი მეორე საკანში ვიყავით.

ამხ. გოთოშია, რომელიც ძალიან მოუსვენარი და ფიცხი ხასიათისა იყო, ჩვეულებრივად ფანჯარას დაუწყებდა ხოლმე გუშაგებს. ერთხელ, კაპიტან იაკუბოვიჩის მორიგეობის დროს ჯარისკაცმა, რომელიც შეგულიანებული იყო, პირდაპირ ესროლა თოფი ამხ. გოთოშიას და იქვე მოჰკლა.

ამხ. სერგო პროპაგანდისტულ მუშაობას ეწეოდა პატიმრებში. პოლიტიკურ პატიმართა უმრავლესობა ბოლშევიკები იყო. ჩვენ მოვაწყვეთ კომიტეტის ბიურო, რომელსაც სათავეში ამხ. სერგო ჩაუდგა.

მე სოხუმის საპატიმროში ხუთ თვეს დავჰყავი. ამხ. სერგო ერთი თვით უფრო გვიან გაანთავისუფლეს.

1919 წელს მე ამხ. სერგოს შევხვდი კავკავში, საიდანაც იგი ჩრდილო-კავკასიის ფრონტს ხელმძღვანელობდა.

1918 წლის დამლევს კავკავს ვერის შემოერტყნენ დენიკინის რაზმები. გააფთრებული ბრძოლები იყო. ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა.

ჩრდილო-კავკასიაში ჩვენი დამარცხების შემდეგ ამხ. სერგო ორჯონიკიძე სხვა ამხანაგებთან ერთად კავკასიონის ქედით გადმოვიდა ხევსურეთში. 1919 წელს იგი არალეგალურად ჩამოვიდა ტფილისში, სადაც ხელმძღვანელობდა ამიერ-კავკასიის პარტიული კონფერენციის მუშაობას. კონფერენციის დამთავრების შემდეგ ამხ. სერგო საბჭოთა რუსეთში გაემგზავრა.

◆

ქუთაისის ციხეში

(მოგონებიდან)

პ. მ. საყვარელიძე

— ეტაპი მოუყვანიათ, ეტაპი! — ჩამოგვძახა ვილაცამ; კარების გვერდით ჩაიარა და ქვედა სართულისაკენ გაუდგა გზას.

ეტაპის მოსვლა ციხეში „დიდი ამბავია". ციხის დამდგარი და შეკრული ცხოვრება ხარბათ ეწაფება „ახალ ამბებს", ციხე ხელგაშლილი ეგებება თვითეულ ახალშემოსულს, თუნდაც სხვა ციხიდან გზადგამოვლილ ტუსაღს.

ასეთია საზოგადოდ ციხე, მაგრამ ჩვენი ციხე ახლა სულთმაბრძავ ავადმყოფს უფრო ჰგავს, აღარაფერი საამქვეყნო რომ აღარ აინტერესებს.

გარეთ არავინ გამოსულა, ეტაპს არავინ შეეგებია; მხოლოდ ის ერთი იყო ვილაც რომ ჩაიარა და ფანჯარასთან ამბავი გვითხრა.

— გამარჯვებათ ბიჭებო! გამარჯვებათ!

სახე არც კი დაგვინახავს ხეირიანად, მაგრამ ხმა ნაცნობი იყო, სითბო და სიყვარული მოგვესმა ამ ხმაში.

შემოსახედავთან მივცვივდით.

— სერგო? სერგო! გამარჯვება!

გამარჯვება სერგო!! საიდან, აქ რამ მოგიყვანა?

— მომიყვანეს ამ ყურუმსლებმა. ჩემი გზა ეს კი არაა, მე...

მაგრამ ზედამხედველმა აღარ აცალა. ეტაპის დასანაწილებელ კამერაში წაიყვანეს.

დაახლოვებით ერთმა საათმა ჩაიარა მას შემდეგ და ჩვენ 15—20 კაცმა თავი მოვიყარეთ იმ კამერაში, სადაც სერგო მოათავსეს და ხარბათ შევჩერებივართ სერგოს.

სერგო სოხუმს მიჰყავთ, იქ უნდა გაასამართლონ; მას უსათუოდ კატორღა მოელის, მაგრამ ეს კი არაა მისი თხრობის საგანი.

სერგო ბაქოდან მოჰყავთ. ბაქო უდრეკად დგას, რეაქციის შემოტევა ვერას აკლებს ბაქოს. ბაქოს პროლეტარიატი ავრე ადვილად არ დაუშვებს ძირს ბრძოლის ალამს.

ბაქოს ციხეში ზის ამჟამად კობა (სტალინი) და ციხიდან უწევს ხელმძღვანელობას მუშათა მოძრაობას.

მოგვითხრობს სერგო ბაქოს ციხის ამბებს. გვესმის ნაცნობი სახელები, გვესმის კობას სახელი. თავი და ბოლო ეს სახელია, ყურადღება აქეთკენაა — ამ სახელისაკენ.

ციხეში იმართება კამათი მენშევიკებთან, ესერებთან. ჩვენ გვესმის, რომ ჩვენი მთავარი ფალავანი უძლეველი და შეუმუსრავი კობაა. კობა ჩვენია, ვინ დაამარცხებს კობას!

კობა აქაა ნამყოფი, აქ უმუშავნია, ამ ციხეში მჯდარა ამ რამოდენიმე წლის წინად. ბოლშევიკების დროშა მაღლაა, მას ძირს ვერავინ დახრის, ის კობას ხელშია! გარეთ, თუ ციხეში ის მოძრაობის სათავეშია...

ამაყობს გული, ილევა და ქრება უიმედობა.

— რეაქცია დიდ ხანს ვერ გასტანს. კვლავ ამოვარდება რევოლუციის გრიგალი, უფრო მეტი შეგნებითა და მომზადებით შევხვდებით ჩვენ მას, — ამბობს სერგო.

სხვისაგანაც გაგვეგონია ჩვენ ასეთი სიტყვები, მაგრამ მისი თქმა სხვა გვარია. ეს სიტყვები, ფოლადის სიტყვებია, გულის გასამთელებლად კი არ ამბობს ის, ეჭვები კი არ ღრღნის მის გულს.

გაიმარჯვებს რევოლუცია, მაგრამ რას ჰქვია გამარჯვება? ვინ მისცემს მას გამარჯვების გზას, ვინ წაუძღვება მას წინ? რასაკვირველია ჩვენ, ბოლშევიკები და სხვა ვერავინ.

ისმის ლენინის სახელი. ეს სახელი ჩვენ განა უწინაც არ გვსმენია, მაგრამ დღეს ამ სახელს, მის გაგონებას სხვა იერი მისდევს, სხვა გამოძახილს პოულობს ის ჩვენში. ლენინის გზით მიდიან ბაქოს მუშები, კობას სახელი მჭიდროთ გაჭდობილი და გადაქსოვილია ლენინის სახელთან.

ლაპარაკობს სერგო, ლაპარაკობს უბრალოდ, შეკაზმული და შელამაზებული სიტყვა ჩვენ იმისაგან არ გაგვიგონია, მაგრამ სულ სხვაა ახლა ყველაფერი. გული ტოკავს, მიდუნებული მაჯისცემა აღფრთოვანებამ შესცვალა.

სერგომ „გზად გამოიარა" ჩვენთან. მაგრამ მისი აქედან წასვლა ძალზე შეგვიანდა. „კარანტინი" ჯერ არ მოუხსნიათ. სახადი თუ მატულობს, თორემ არ კლებულობს. მაგრამ განწყობილება ჩვენი ახლა სულ სხვაა.

ციხეს, ამ ცოცხალთა სასაფლაოს, დღეს ველარ იცნობ.

უიმედო, დაღრეჯილი სახე აღარსადაა.

სერგოს გამოისობით მოხდა ეს.

მოხდა ისე, რომ, შეიძლება, ეს თითონ მას არც კი შეუმჩნევია. ის ხომ საგულდაგულოდ აგიტაციას არ ეწეოდა. საგანგებოდ მოხსენებებს არ გვიმართავდა. სერგოს თან შემოჰყვა რაღაც განსხვავებული ნებისყოფა და გაფოლადებული რწმენა; მას ნათლად ჰქონდა დასახული მომავალი ბრძოლის გზები და ხვეულები. სერგომ ჩვენზე ყველაზე უკეთ და სავსეთ იცოდა ეს და იცოდა იმის წყალობით, რომ ის მუშაობდა და იბრძოდა კობას გვერდში, მასთან ერთად.

არ ვიცი, აღარ მახსოვს, რომ ზუსტად ვთქვა, რამდენ თვეს დაჰყო მაშინ ჩვენთან სერგომ, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ არ ყოფილა დღე, სანამ ის ჩვენთან იყო, მას ამხანაგებისათვის თავი მოერიდებინოს, თავის საკუთარ საქმეზე ეზრუნოს.

ბოლოს სერგოც ავათ გახდა.

ერთხანს სასწორზე იყო დასმული მისი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი. მაგრამ ავადმყოფობაშიაც თავისებური იყო სერგო, არაფრად ეპუებოდა, თითქოს აბუჩად იგდებდა სატიფ სენა, ისე ულმობელად რომ ჩასჭიდა მას თავისი კლანჭები. არ უყვარდა სერგოს, როდესაც მის შესახებ სხვა ვინმე ზრუნავდა, თითქოს ეს საქმე მას თავის განსხვავებულ საკუთრებათ მიაჩნდა.

ჩქარა აირეკა სერგომ ლოგინი და ისევ დატრიალდა ჩვენ შორის.

ეს იყო... ახლა, როდესაც მეხსიერებას ვეკითხები, ეს ამბავი თითქოს გუშინ იყო, მაგრამ ეს იყო მაშინ, როდესაც სერგო სრული ოცი წლის თუ იქნებოდა.



სახლი სოფ. გორეშაში (ხარაგოულის რაიონი), სადაც 1886 წელს დაიბადა და ბავშვობა გაატარა ამხ. ს. ორჯონიკიძემ (სურათი გადაღებულია 1936 წელს).
„სოიუზფოტოს" საქ. განყ.

მ. ტუხაჩევსკი

საბჭოთა კავშირის მარშალი

გამარჯვებათა და სამხედრო ტექნიკის ორგანიზატორი

ამხ. **ორჯონიკიძის** დაბადებიდან 50 წლის შესრულების დღეს მხურვალე სალამს უძღვნის მას თვითეული მშრომელი და წითელი არმიის თვითეული მეომარი. თავისი შესანიშნავი სიცოცხლის ორი მესამედი ამხ. **ორჯონიკიძემ** მოახმარა თავის პარტიას, პროლეტარულ რევოლუციასა და სოციალიზმის აშენებას. და წითელი არმიის არსებობის მთელი წლების განმავლობაში, ან თავისი სიცოცხლის ერთი მესამედის განმავლობაში ამხ. **ორჯონიკიძე** იბრძვის სამოქალაქო ომის ფრონტებზე, მუშაობს წითელი არმიის რიგების განსამტკიცებლად ომის შემდეგ და უკანასკნელი წლების მანძილზე აიარაღებს მას ყველაზე მოწინავე ტექნიკით.

მე მინდა შევჩერდე ჩემს პირად მოგონებებზე ამხ. **ორჯონიკიძის** შესანიშნავი ცხოვრების იმ მომენტების შესახებ, როცა იგი იბრძოდა ფრონტებზე გამარჯვებებისათვის და წითელი არმიის ძლიერების განმტკიცებისათვის.

1918 წელი

უკრაინაში შემოსეული გერმანელი იმპერიალისტები აპრილის დამლევს დონის როსტოვს უახლოვდებოდნენ. ეს იყო პერიოდი, როცა პარტია ჰქმნიდა წითელ არმიას განსაკუთრებულ სიძნელეთა პირობებში. წითელი არმიის ძალები ჯერ კიდევ მცირე, არასაკმაოდ დარაზმული და სუსტად შეიარაღებული იყო. როსტოვშიც გაჩაღებული იყო მუშაობა არმიის შესაქმნელად.

ამხ. **ორჯონიკიძე**, რომელსაც მაშინ რევკომის თავმჯდომარის თანაშემწეობა ეჭირა, პირადად ხელმძღვანელობდა როსტოვის შეიარაღებას და როსტოვის მისასვლელებთან გერმანელ ინტერვენტთა წინააღმდეგ ბრძოლის მოწყობას.

ფრონტებზე გააფთრებული ბრძოლები იყო. კარგად ორგანიზებულ და შეიარაღებულ გერმანელებს ძალიან უჭირდათ წითელგვარდიელთა და წითელი არმიის ნაწილების გმირული წინააღმდეგობის დაძლევა. მიუხედავად ამისა, ძალამ თავისი გაჰქონდა და ჩვენი ნაწილები უკან იხევდნენ. ამ ბრძოლებში იწრთობოდნენ და სწავლობდნენ ჩვენი ჯარები. ამ ბრძოლებში პირველ ნათლობას იღებდნენ წითელი არმიის ახლად შედგენილი ნაწილები. ამ ბრძოლაში გერმანელი ინტერვენტების წინააღმდეგ, როსტოვის მისასვლელებთან, ამხ. **ორჯონიკიძე** წითელი არმიის ნაწილთა ორგანიზაციული ღონისძიებების, პოლიტიკური აღზრდისა და გამტკიცების სული და გული იყო.

როსტოვის დაცემის შემდეგ ამხ. **ორჯონიკიძე** უკან იხევს ჯარებთან ერთად და, ყოველ ნაბიჯზე გამკლავებით, გმირულად იცავს საბჭოთა ჩრდილო-კავკასიას.

1920 წელი

ამხ. **ორჯონიკიძე** 1920 წელს იყო კავკასიის ფრონტის რევსამხედრო საბჭოს წევრი, ფრონტის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი და საბჭოთა ხელისუფლების ორგანიზატორი თეთრგვარდიელებისაგან განთავისუფლებულ ჩრდილო-კავკასიაში.

1920 წ. თებერვლისათვის მდგომარეობა კავკასიის ფრონტისა, რომელმაც განუწყვეტელ შეტევათა პირობებში უზარმაზარი სივრცეები დასძლია, უაღრესად მძიმე იყო. ნაწილთა მებრძოლი შემადგენლობა ძალიან შეთხელდა. მსროლელთა დივიზიებში ზოგჯერ ათასი და უფრო ნაკლები მეომარი იყო. ზურგიდან შესავსებად დანიშნულ ნაწილებს აგვიანდებოდათ. ტროცკის ცენტრალური სამხედრო აპარატის ორგანიზაციული მუშაობა ყოვლად უვარგისი იყო. წითელი არმიის საერთო რაოდენობა 5 ნახ. მილიონ კაცს აღწევდა. სამწყობრო ნაწილებში კი მეომრები გვაკლდა.

მეომართა სრული კომპლექტის უყოლობით შექმნილ მძიმე მდგომარეობას აღრმავებდა ის, რომ ზვერვის ცნობები მოწმობდნენ, რომ თეთრები სულ უახლოეს მომავალში შეტევას დაიწყებდნენ. შევსების მოლოდინში დროის დაკარგვა შეუწყნარებელი იყო. საჭირო გახდა ფრონტის მსროლელთა დივიზიების ნაწილის დაშლა და მათ ხარჯზე დანარჩენ ერთეულთა დაკომპლექტება. კომუნისტთა და მეომართა შერჩევისა და განაწილებისათვის გაწეულ ამ უდიდეს და დაძაბულ მუშაობაში თავი იჩინა ამხ. **ორჯონიკიძის** მთელმა დაუცხრომელმა ენერგიამ და მისმა ორგანიზატორულმა ნიჭმა.

რაც უფრო წარმატებით ვითარდებოდა შეტევა, რომელიც თებერვლის შუა რიცხვებში დაიწყო, მით უფრო-და-უფრო დაძაბული ხდებოდა კავშირგაბმულობისა და ფრონტის ზურგის მდგომარეობა. ეს მდგომარეობა განსაკუთრებით გამწვავდა, როცა წყალდიდობა დაიწყო და როცა წყალმა წაიღო რკინიგზის ხიდები, რომლებიც თეთრგვარდიელების მიერ დანგრეული და ჩვენ მიერ ნაჩქარევად შპალების ბურჯებზე აღდგენილი იყო. გვაკლდა მომარაგება. საჭირო ხდებოდა ნადავლის სასწრაფოდ აღრიცხვა და განაწილება. საჭირო ხდებოდა ყველა ძალისა და საშუალების მობილიზაცია, რომ ხიდები და კავშირგაბმულობის ხაზები აღგვედგინა. მთელ ამ მუშაობაში ამხ. **ორჯონიკიძე** ძირითადი მბიძგაველი და ორგანიზატორი იყო.

დამახასიათებელია, რომ სოკოლნიკოვი, რომელიც მაშინ მე-8 არმიის სარდალი იყო, გადაჭრით აცხადებდა პროტესტს კავკასიის ფრონტის თებერვლის შეტევის წინააღმდეგ და, ფრონტის სარდლობისათვის გვერდის ავლით, უშუალოდ მიმართავდა ტროცკის მოწოდებით — შეეჩერებინა შეტევის ოპერაციები. ჩვენი გეგმების ჩაშლის ეს საზიზღარი ცდები ჩაიშალა. შეტევა, რომელიც 1-ლი ცხენოსანი არმიისა და ფრონტის მთავარი ძალების გადაჯგუფების შემდეგ, ტიხორეცკაიას მიმართულებით დაიწყო, ერთხანს გართულდა დროებითი, ნაწილობრივი მარცხით როსტოვთან, მაგრამ შეტევა კავკასიის ფრონტის არმიის სრული გამარჯვებით დამთავრდა. ამხ. **ორჯონიკიძე** ყოველთვის დროზე ააშკარავებდა კაპიტულიანტთა ხრიკებს და იხსნიდა ხოლმე მდგომარეობას.

უმჭიდროესი კავშირი არმიებთან და ხშირი გასვლა ფრონტზე მებრძოლ ჯარებთან ამხ. **ორჯონიკიძის** მუდმივი პრაქტიკა იყო.

ამხ. **ორჯონიკიძემ**, განსვენებულ ამხ. **კიროვთან** ერთად განსაკუთრებული როლი ითამაშა ბაქოზე მე-11 არმიის შეტევის მომზადებაში და თვითონ შეტევაში. კავშირმა ბაქოს კომიტეტთან, პოლიტიკურმა მუშაობამ შეტევისათვის დანიშნულ ჯარებში, ჯავშნოსან მატარებელთა და მატერიალური ნაწილის მომზადებამ, გადაყვან-გადმოყვანისა და მომარაგების ორგანიზაციამ — ყოველივე ამან უზრუნველჰყო შეტევის განსაკუთრებული ტემპი და წარმატება ბაქოსათვის ბრძოლებში.

1921 წელი

1921 წელს საბჭოთა საქართველო განთავისუფლებულ იქნა გამცემლური მენშევიკური ხელისუფლებისაგან. ამ გმირულ კამპანიაში ამხ. **ორჯონიკიძემ** გადამწყვეტი როლი ითამაშა. ამ პერიოდში მე ვსარდლობდი ტამბოვის არმიას, და ერთხელ მოხსენებისათვის მოსკოვს გამომიძახეს.

რესპუბლიკის საველე შტაბის უფროსის, განსვენებული პ. პ. ლებედევის კაბინეტში ფაციფუცი იყო. პაველ პავლეს-ძემ ბოდიში მოიხადა ჩემს წინაშე და მთხოვა დამეცადა. სანამ იგი მოათავებდა ტროცკის მიერ მისთვის მინდობილი მოხსენების შედგენას. კარნახის დროს გავიგონე, რომ ტფილისზე შემტევი ჩვენი ჯარების მოქმედებას უწოდებდნენ თვითნებურს, თვითონ შეტევა არაფრით არ არის უზრუნველყოფილი, არ შეიძლება წარმატებით დამთავრდეს და ჩვენი შეტევა შეუწყნარებელი ავანტიურა არისო. ასეთი იყო მენშევიკ და გამცემ ტროცკის თვალსაზრისი. მაგრამ ამხ. **ორჯონიკიძის** რევოლუციური გაბედულობა და ნებისყოფა ისე დიდი იყო, რომ საქართველო განთავისუფლებულ იქნა და ახლა ძლევამოსილად აშენებს სოციალისტურ საზოგადოებას.

1930 და 1936 წლები

ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ ყოფნისას ამხ. **ორჯონიკიძემ** უდიდესი მუშაობა გასწია, რათა უზრუნველეყო ინდუსტრიალიზაციის გეგმის შესრულება, გაანადგურებინა მავნებლები და გაეცამტვერებინა თეორიები ქრობადი მრუდით მრეწველობის სიმძლავრეთა დაღმავლის შესახებ. მას შემდეგ, რაც ამხ. ორჯონიკიძემ დაიჭირა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ხოლო შემდეგ მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის პოსტი, სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპები სულ უფრო-და-უფრო მაღლდებოდა. მეთაურობს და ხელმძღვანელობს რა სტახანოვურ მოძრაობას, ამხ. **ორჯონიკიძეს** ჩვენი ინდუსტრია ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ მიჰყავს.

მრეწველობის ამ ზრდაში ჩაქსოვილია ჩვენი საბჭოთა კავშირის თავდაცვაუნარიანობის ზრდის საფუძვლები.

იმ პერიოდში, როცა მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატს ამხ. **ორჯონიკიძე** ხელმძღვანელობს, მძიმე მრეწველობის პროდუქცია საერთოდ გაიზარდა 3 ნახ.-ჯერ. თუჯის წარმოება გაიზარდა თითქმის ერთისამად, ნაგლინისა — 2 ნახევარჯერ, სატვირთო ავტომანქანებისა— 35-ჯერ, ორთქლმავლებისა—3-ჯერ, სატვირთო ვაგონებისა—ოთხჯერ და უფრო მეტად და სხვ.

წითელი არმია ყოველთვის გრძნობს სიყვარულსა და ყურადღებას ამხ. **ორჯონიკიძის** მხრივ. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია წითელი არმიის მოწინავე ტექნიკა. საუცხოო თვითმფრინავები, სიმაღლის, სიშორის, ტვირთწევის და სხვ. რეკორდები — ყოველივე ეს მძლეთამძლის ხდის წითელ არმიას მომავალ საჰაერო ბრძოლებში. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია ჩვენი საუცხოო, ჩინებულად შეიარაღებული ტანკების ხარისხი და რაოდენობა. ჩვენ გვაქვს მძლავრი თანამედროვე არტილერია, მტყვიამფრქვევები, ცეცხლის მართვის ხელსაწყონი, კავშირგაბმულობის საშუალებანი, საინჟინრო გაწყობილობა და სხვ.

ჩვენ გვყავს გაზრდილი, კარგად შეიარაღებული სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ჩვენი სამხედრო წარმოებანი, რომლებიც რევოლუციამდე ძალიან სუსტი იყო და რომლებიც არაკულტურულად, შინამრეწველურად მუშაობდნენ, ამჟამად მრეწველობის საერთო ზრდასთან სავსებით შეფარდებით, გაიზარდნენ და სრულჰყვეს წარმოების მეთოდები.

ლენინისა და **სტალინის** ერთგული მოწაფე და თანამებრძოლი ამხ. **ორჯონიკიძე** ერთი წუთითაც არ ივიწყებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვასა და მის გმირ წითელ არმიას.

დაე მრავალ და მრავალ წელს იცოცხლოს ძვირფასმა გრიგოლ კონსტანტინეს-ძე **ორჯონიკიძემ**. დაე ახალი და ახალი გამარჯვებანი მოიპოვოს ჩვენმა სოციალისტურმა მრეწველობამ, დაე გაიზარდოს, სრულყოფილი გახდეს და განმტკიცდეს ჩვენი წითელი არმიის ტექნიკური ძლიერება!

ამხანაგ გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს-ძე ორჯონიკიძე

მოკლე ბიოგრაფიული ცნობები

ჟანდარმთა სამმართველოს სააღრიცხვო ბარათი ს. ორჯონიკიძეზე

რევოლუციის მუზეუმის მასალებიდან. („სოიუზფოტო")

მთელი ჩვენი ქვეყანა დღეს უდიდესი სიხარულით აღნიშნავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ერთ-ერთი უაღრესად გამოჩენილი და უნიჭიერესი ხელმძღვანელის, ხალხის საყვარელი ადამიანის, **ლენინისა** და **სტალინის** ერთგული მოწაფისა და საბრძოლო თანამებრძოლის გრიგოლ კონსტანტინეს-ძე (პარტიული მეტსახელი — „სერგო") **ორჯონიკიძის** სახელოვან 50 წლისთავს.

ამხანაგი ორჯონიკიძე დაიბადა 1886 წლის 28 (15) ოქტომბერს დასავლეთ საქართველოს სოფელ გორეშაში, რომელიც ახლა შედის საქართველოს სს რესპუბლიკის ხარაგაულის რაიონში. ამხ. ორჯონიკიძის მამას ჰქონდა სულ რამდენიმე დესეტინა მცირე მიწა, რომელსაც თავისი ოჯახით ამუშავებდა; გაჭირვება აიძულებდა მას მიწის მუშაობასა და მუშაობას შუა სამუშაოდ წასულიყო ჭიათურაში, სადაც მარგანეცს ეზიდებოდა.

1898 წლის გაზაფხულზე ამხ. ორჯონიკიძემ დაამთავრა ხარაგაულის ორკლასიანი სასწავლებელი და შევიდა ხაშურის რკინიგზის სასწავლებელში. მაგრამ ერთი წლის შემდეგ, ოჯახის გაჭირვების გამო, იძულებული გახდა დაეტოვებინა სწავლა და დაბრუნებულიყო სოფელში. მალე გარდაიცვალა მამა, რომელმაც დიდი ოჯახი დასტოვა. 1900 წლის შემოდგომაზე სერგოს ბიძაშვილმა ტარასი ორჯონიკიძემ ამხ. სერგო წაიყვანა ტფილისში. აქ მან მოახერხა და სერგო მიაბარა ქალაქის საავადმყოფოსთან არსებულ სამედიცინო სკოლაში.

სამედიცინო სკოლაში უმთავრესად სწავლობდნენ ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ახალგაზრდები. სწორედ ასეთ სასწავლებლებში მოსწავლეთა შორის განსაკუთრებით ძლიერი რევოლუციური განწყობილება იყო და იქმნებოდა სოციალ-დემოკრატიული წრეები. ერთ-ერთ ასეთ წრეში მალე შევიდა ამხ. ორჯონიკიძე. 1901—1902 წლებში იგი მონაწილე იყო ტფილისის მოწაფეთა ცენტრალური წრისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოციალ-დემოკრატი ბოლშევიკი [illegible].

1903 წელს ამხ. ს. ორჯონიკიძე შევიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში (რსდმპ). ამ დროიდან ამხ. სერგო ორჯონიკიძე მთელ თავის სიცოცხლეს, მთელ თავის ძალღონეს და მგზნებარე რევოლუციურ ენერგიას მთლიანად ახმარს მუშათა კლასის საქმისათვის, დიადი ლენინურ-სტალინური პარტიის საქმისათვის.

1903—1905 წლების პერიოდში ამხ. ორჯონიკიძე ყალიბდება, როგორც პროფესიონალი პროლეტარული რევოლუციონერი, რომლისთვისაც სიცოცხლის მთელი აზრი, მისი მნიშვნელობა მდგომარეობს მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 19 წლის ახალგაზრდა იგი უკვე იყო გუდაუთის პარტიული ორგანიზაციის [illegible] ხელმძღვანელი, პარტიის სოხუმის საოლქო კომიტეტის წევრი, არალეგალური მუშაობის ნიჭიერი ორგანიზატორი, მგზნებარე პროპაგანდისტი და აგიტატორი.

1906 წლის 3 იანვარს ამხ. ორჯონიკიძე მეფის პოლიციამ დააპატიმრა სოფელ ბომბორში, გუდაუთის მახლობლად. 1906 წლის 7 ივნისამდე დაჰყო მან სოხუმის საპატიმროში, საიდანაც თავდებობით გამოუშვეს, რის შემდეგ იგი ტფილისს გაემგზავრა. აქ სერგო პირველად შეხვდა ამხანაგ სტალინს ბოლშევიკური გაზეთის „დრო" რედაქციაში, რომელსაც რედაქტორობდა სტალინი. მეორე დღეს იგი იყო სტალინთან სტამბაში, სადაც „დრო" იბეჭდებოდა. აქ სტალინმა სერგოს უსაჩუქრა თავისი ახლად გამოსული ბროშურა „რ.ს.დ.მ.პ. სტოკჰოლმის გაერთიანებული ყრილობის შესახებ", რომელიც სერგომ დაუყოვნებლივ გამოიყენა მენშევიკთა წინააღმდეგ. ტფილისში ამხანაგ სტალინთან შეხვედრის პირველი დღიდანვე სერგო ორჯონიკიძე სამუდამოდ გახდა მისი უახლოესი მეგობარი და ერთგული თანამებრძოლი. სერგომ პარტიულ ორგანიზაციაში დაახლოვებით ორი თვეს იმუშავა, რის შემდეგ, აგვისტოში არალეგალურად გადავიდა საზღვარგარეთ და მალე დაბრუნდა რუსეთში.

1907 წლის მარტს ამხ. ორჯონიკიძე გაიგზავნა პარტიულ სამუშაოზე ბაქოში. ბაქოს პერიოდი იყო უდიდესი სკოლა სერგოს ჩამოყალიბებაში, ბოლშევიკური პარტიის უთვალსაჩინოეს მოღვაწედ.

აქ ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ამხ. ორჯონიკიძე, მაშინ ჯერ კიდევ თითქმის ჭაბუკი, იწრთობოდა როგორც მასების ნამდვილი წინამძღოლი, მტკიცე, შეურიგებელი ლენინელი, რომელიც ქედს არ იხრიდა ბრძოლის საშიშროებისა და სიძნელეების წინაშე. შაუმიანთან, ჯაფარიძესთან, სპანდარიანთან ერთად ამხ. ორჯონიკიძე შევიდა ბაქოს ბოლშევიკურ კომიტეტში, რომელსაც ამხანაგი სტალინი მეთაურობდა.

ბალახნის რაიონში პარტიულ ორგანიზატორად ყოფნის დროს ამხ. ორჯონიკიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო 1907 წლის 1 მაისის მუშათა მასობრივი დემონსტრაციის მომზადებაში „სტეფანე რაზინის" გორაზე. აქ იგი დააპატიმრეს და კრიხაშვილის მოგონილი გვარით 26 დღეს იჯდა ციხეში.

1907 წლის ზაფხულში, როცა ბაქოს პროლეტარიატის წინაშე წამოიჭრა ნავთის მრეწველებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადების საკითხი და საჭირო იყო პირდაპირი მოლაპარაკების წარმოება მრეწველებთან, ბოლშევიკებმა წამოაყენეს პოპულარული ლოზუნგი სტალინის „თათბირი გარანტიებით" (მუშათა პრესის, კრებების, პიროვნების ხელშეუხებლობის სრული თავისუფლება და სხვ.) ამხ. ორჯონიკიძემ უდიდესი მუშაობა ჩაატარა სარეწაოებსა და ქარხნებში, განმარტავდა თათბირის მნიშვნელობას, ნერგავდა მასებში ბოლშევიკურ ლოზუნგებს, ამხელდა მენშევიკებს, დაშნაკებს, ესერებს. ბაქოს პროლეტარიატმა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ბოლშევიკები, რომლებსაც ხელმძღვანელობდა სტალინი, გაიმარჯვა. მაგრამ ამ დროს ამხ. ორჯონიკიძე, რომელიც მეფის პოლიციამ 1907 წლის ნოემბერს დააპატიმრა, უკვე ბაილოვის საპატიმროში იჯდა. მალე ამავე საპატიმროში ამხანაგი სტალინიც ჩასვეს.

1908 წლის 9 აპრილს ბაქოში სამოსამართლო პალატამ ამხ. ორჯონიკიძეს მიუსაჯა სამუდამო გადასახლება ციმბირში ყველა უფლებათა აყრით. 27 ოქტომბერს მას [illegible] რევოლუციური მუშაობისათვის დამატებით მიუსაჯეს ერთი წლის პატიმრობა. 1909 წლის გაზაფხულზე იგი გადაასახლეს ციმბირში. გადასახლების ადგილად დაუნიშნეს სოფელი პოტასკუი ენისეის გუბერნიაში. ორი თვის შემდეგ ამხ. ორჯონიკიძე გამოიქცა გადასახლებიდან და დაბრუნდა ბაქოში, სადაც განაგრძო პარტიული მუშაობა.

1909 წლის ზაფხულის დამლევს ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია ამხ. ორჯონიკიძეს გზავნის ირანში (სპარსეთი), გილანის პროვინციაში. ეს პროვინცია მაშინ იმ რევოლუციური მოძრაობის ასპარეზი იყო, რომელიც რუსეთის პირველი რევოლუციის გავლენით დაიწყო. აქ ამხ. ორჯონიკიძე იყო ცარიზმის ძალმომრეობის, კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული მასობრივი გამოსვლების პოლიტიკური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, ხელმძღვანელობას უწევდა მუშაობას ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის შესაქმნელად.

ირანიდან ამხ. ორჯონიკიძემ დაამყარა უშუალოდ მჭიდრო კონტაქტი ლენინთან, საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან და ბოლშევიკთა პარიზის ჯგუფთან. მან მოაწყო საზღვარგარეთის ბოლშევიკური ლიტერატურის შეზიდვა რუსეთში ირანით. 1910 წლის ნოემბერს ამხ. ორჯონიკიძე დაბრუნდა ბაქოში და იქიდან გაემგზავრა პარიზს, სადაც პირდაპირ ვაგზლიდან ლენინის ბინაზე წავიდა.

როგორც ნ. კ. კრუპსკაია სწერს თავის მოგონებებში, „მას შემდეგ იგი გახდა ერთ-ერთ უახლოეს ამხანაგად".

ამხ. ორჯონიკიძე ჩავიდა საზღვარგარეთ იმ პერიოდში, როცა, მისივე სიტყვით, „ბოლშევიკურ ჯგუფზე, რომელსაც ილიჩი მეთაურობდა, ყოველი მხრიდან მიჰქონდათ იერიში". ამხ. ორჯონიკიძე მეცადინეობას იწყებს ლონჟუმოს (პარიზის მახლობლად) პარტიულ სკოლაში, რომელიც ლენინმა შექმნა პარტიული კადრების იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად. მაგრამ ამხ. ორჯონიკიძემ მალე შეწყვიტა სწავლა და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დავალებით კვლავ გაემგზავრა რუსეთში უაღრესად პასუხსაგები დავალებით — მოემზადებინა საერთო-რუსეთის პარტიული კონფერენციის მოწვევა. ამხ. ორჯონიკიძემ ბრწყინვალედ შეასრულა ლენინის ეს დავალება. პარტიული კონფერენციის მოსაწვევად რუსეთში შეიქმნა რუსეთის საორგანიზაციო კომისია — რუსეთის პრაქტიკულად მომქმედი ცენტრი; ამხ. ორჯონიკიძის მეცადინეობით მოწყობილი ამ ცენტრის შექმნას ლენინი სთვლიდა უდიდეს მიღწევად, პარტიის გამოსვლად ფართო გზაზე.

1911 წლის ნოემბერს პარიზში ამხ. ორჯონიკიძემ მოახსენა [illegible] ლენინს თავისი მუშაობის შესახებ, რის შემდეგ გაემგზავრა პეტერბურგში. 1912 წლის იანვარს პრაღაში შედგა პარტიული კონფერენცია, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში.

კონფერენციაზე ამხ. ორჯონიკიძე იყო ტფილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დელეგატად, იგი გამოდიოდა კამათში დღის წესრიგის თითქმის ყველა საკითხზე. კონფერენციაზე 26 წლის ახალგაზრდა ამხ. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა ბოლშევიკთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. რუსეთში მუშაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად შეიქმნა ცენტრალური კომიტეტის ბიურო ამხანაგების სტალინის, სერგო ორჯონიკიძისა და სპანდარიანის შემადგენლობით.

1912 წლის მარტში ამხ. ორჯონიკიძე გაემგზავრა პეტერბურგს, რომ მოხსენება გაეკეთებინა პეტერბურგის პარტიული ორგანიზაციისათვის პრაღის კონფერენციის შესახებ. პეტერბურგიდან იგი გაემგზავრა ვოლოგდაში, გადასახლებულ ამხანაგ სტალინთან. ამხანაგ სტალინთან ერთად (რომელიც გადასახლების ადგილიდან გამოიქცა), იგი გაემგზავრა ბაქოში, ხოლო იქიდან ტფილისში. ამხ. ორჯონიკიძემ რამდენიმე ათეულ ათას ეგზემპლარად დაბეჭდა სახელმძღვანელო პარტიული დოკუმენტები, რომელთა შორის იყო „რ.ს.დ.მ.პ. საარჩევნო პლატფორმა IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების გამო", დაწერილი ამხანაგ სტალინის მიერ.

1912 წლის აპრილში ამხ. ორჯონიკიძე კვლავ გაემგზავრა პეტერბურგში. აქ ამხ. ორჯონიკიძე, რომელიც სხვისი პასპორტით ცხოვრობდა, დააპატიმრა მეფის ოხრანკამ. პეტერბურგის საოლქო სასამართლომ ამხ. ორჯონიკიძეს მიუსაჯა სამი წლის კატორღა, რომლის მოხდის შემდეგ იგი სამუდამო გადასახლებაში უნდა გაეგზავნათ. 1912 წლის ოქტომბერს ამხ. ორჯონიკიძეს გაუკეთეს ბორკილები და გაგზავნეს საკატორღო საპყრობილეში — შლისელბურგის ციხეში. კატორღის მოხდის შემდეგ იგი 1915 წლის ოქტომბერს ეტაპით გაგზავნეს აღმოსავლეთ ციმბირში, ალექსანდროვსკის საეტაპო საპატიმროში, საიდანაც გაგზავნეს გადასახლების ადგილას სოფელ პოკროვსკოეში, იაკუტსკიდან 90 კილომეტრის მანძილზე. და აქაც გადასახლებაში დაუღალავი ამხ. ორჯონიკიძე აწარმოებს ცხარე ბრძოლას მენშევიკებისა, ესერებისა და ანარქისტების წინააღმდეგ.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ამხ. სერგო ორჯონიკიძე უდიდეს მუშაობას აწარმოებს, რათა განამტკიცოს რევოლუციის მონაპოვარნი იაკუტიაში და ჩააბას უფართოესი მასები რევოლუციურ ბრძოლაში. ამხ. ორჯონიკიძე შედიოდა იაკუტიის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, იყო საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ეწეოდა დიდ ორგანიზაციულ და საგიტაციო მუშაობას იაკუტებს შორის.

1917 წლის მაისში ამხ. ორჯონიკიძე სხვა გადასახლებულ ბოლშევიკებთან ერთად მიემგზავრება ირკუტსკში, ხოლო იქიდან პეტროგრადში, სადაც მთლიანად ეშვება საბრძოლო პარტიულ მუშაობას პეტერბურგის პროლეტართა შორის.

ლენინის წინადადებით ამხ. ორჯონიკიძე შეჰყავთ ბოლშევიკური ორგანიზაციის პეტროგრადის კომიტეტში, პეტროგრადის კომიტეტის აღმასრულებელ კომისიაში (ბიურო), აგრეთვე პეტროგრადის საბჭოს აღმასკომში.

დღის წესრიგში იდგა პარტიის VI ყრილობის მოწვევა, რომლის უშუალო მომზადება და ჩატარება ლენინმა სტალინს დააკისრა. თვით ლენინი ამ დროს იმალებოდა კარავში, სესტრორეცკის მახლობლად, და სტალინის დავალებით ამხ. სერგო ორჯონიკიძე იყო ილიჩთან დირექტივების მისაღებად.

პროლეტარული რევოლუციის ამ მძიმე პერიოდში, როცა მოახლოვებული საფრთხის წინაშე ბევრი შეძრწა, ცენტრალური კომიტეტისა და პეტროგრადის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტზე მტკიცედ რჩებოდა ამხანაგი სტალინი.

ამხ. სერგო [illegible] იყო ძალიან მის ახლოს და მისი ხელმძღვანელობით ენერგიულ, თავდადებულ ბრძოლას ეწეოდა პარტიის ლენინური ლოზუნგებისათვის.

სექტემბრის დამლევს ამხ. ორჯონიკიძე გაემგზავრა ამიერ-კავკასიაში, სადაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლაში კონტრრევოლუციური მენშევიზმის წინააღმდეგ. 1917 წლის 6 ნოემბერს ამხ. სერგო ამიერ-კავკასიიდან დაბრუნდა პეტროგრადში. როგორც მტკიცე ლენინელი, ამხ. ორჯონიკიძე იყო დიდი პროლეტარული რევოლუციის გამარჯვებისათვის თავდადებულ მებრძოლთა ყველაზე მოწინავე რიგებში.

ბოლშევიკური პარტიის პეტროგრადის კომიტეტმა იგი გაგზავნა პულკოვის ფრონტზე კერენსკის წინააღმდეგ, რომელიც გენერალ კრასნოვის ყაზახთა კორპუსთან ერთად უტევდა რევოლუციურ პეტროგრადს.

1918 წლის 2 იანვარს ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით ამხ. სერგო ორჯონიკიძე ინიშნება უკრაინის რაიონის დროებით საგანგებო კომისრად და ამავე დროს ეძლევა რწმუნებანი მოამარაგოს სურსათით საბჭოთა რუსეთის ის ადგილები, რომლებიც ამას საჭიროებენ.

1918 წლის აპრილს ამხ. ორჯონიკიძე გადადის დონში და აქ განაგრძობს ზომების მიღებას გერმანელებისა და გაიდამაკებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საორგანიზაციოდ, რომლებიც თანდათან მიიწევდნენ სამხრეთისაკენ, დონისა და ყუბანისაკენ.

1918 წლის 9 აპრილს რუსეთის სფსრ სახკომსაბჭომ ლენინისა და სტალინის ხელმოწერით გამოსცა დეკრეტი სამხრეთის რაიონის საგანგებო კომისარიატის შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედაც სერგო ორჯონიკიძე დაინიშნა.

1918 წლის 7 მაისს, როცა ავსტრო-გერმანიის ჯარებმა, გაიდამაკებმა და თეთრგვარდიელმა ყაზახებმა ბრძოლით აიღეს როსტოვი, ამხ. ორჯონიკიძემ თავისი რაზმებით უკანასკნელმა დატოვა ბატაისკისკენ, ხოლო შემდეგ ტიხორეცკაიასაკენ, რათა იქიდან ბრძოლით დაეხია ცარიცინისაკენ, რომელიც მძიმე დღეებს განიცდიდა. ცარიცინში ამხ. ორჯონიკიძე იწყებს კონტრრევოლუციური აჯანყების ჩაქრობას. ამხ. ორჯონიკიძემ ერთი სარდლობის ქვეშ გააერთიანა ქალაქში მყოფი საბჭოთა ჯარები, უზრუნველყო ცარიცინის მტკიცედ დაცვა, რის შემდეგ გაემგზავრა ყუბანში, რათა მოეწყო თავდაცვა შემტევ გერმანელთა წინააღმდეგ და განემტკიცებინა ახალგაზრდა წითელი არმიის ნაწილები.

1918 წლის ივნისს ცარიცინში ჩავიდა ამხანაგი სტალინი, რომელიც სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დანიშნული იყო სასურსათო საქმის ხელმძღვანელად სამხრეთ რუსეთში. მან მაშინვე აიღო ხელში მმართველობის მთელი სადავეები. სტალინის რკინის ნებისყოფამ და ორგანიზატორულმა გენიამ გადამწყვეტ პერიოდში პროლეტარულ რევოლუციას მოუპოვა სტრატეგიულად, პოლიტიკურად და ეკონომიურად უმნიშვნელოვანესი რაიონი ცარიცინისა. მისი თანაშემწე იყო ამხ. ორჯონიკიძე, რომელიც ამ დროს ცარიცინში დაბრუნდა.

ივლისის დამლევს ამხ. სერგო ორჯონიკიძე კვლავ ყუბანშია. 1918 წლის ზაფხულში დაიწყო შეტევა გენერალ დენიკინის თეთრი არმიის, რომელიც დონისა და ყუბანის საზღვარზე გამაგრდა. დენიკინის ბანდებთან ბრძოლაში ამხ. ორჯონიკიძემ გამოიჩინა განსაკუთრებული სიმამაცე და პირადი გმირობა, უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი და პოლიტიკური გამჭრიახობა.

1919 წლის თებერვლის დამლევს დენიკინის ბანდები მიუახლოვდნენ ვლადიკავკასს. წითელი არმიის მცირერიცხოვანი ნაწილები, რომლებსაც ამხ. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა, გმირულად იცავდნენ ქალაქს, იჩენდნენ გულადობისა და სიმამაცის სასწაულებს. მას შემდეგ, რაც თეთრებმა ქალაქი დაიკავეს, ამხ. ორჯონიკიძე ორიოდე ამხანაგთან ერთად მთებით [illegible] ინგუშეთში [illegible]. 1919 წლის ივნისის დამლევს ამხ. ორჯონიკიძე არალეგალურად გადავიდა ტფილისში. აქ ამხ. სერგომ ტფილისელ ბოლშევიკებთან ერთად დახაზა საქართველოს კონტრრევოლუციური მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის გეგმები.

მალე ამხ. ორჯონიკიძე მაშინ ერთად-ერთი შესაძლო გზით — სათევზაო იალქნიანი ნავით კასპიის ზღვაზე, ასტრახანზე გავლით — გაემგზავრა [illegible]. აქ ამხ. ორჯონიკიძე პირველად შეხვდა ს. მ. კიროვს. მაშინ მათ შორის გაჩნდა იმ დიდი მეგობრობის კავშირი, რომელიც არ გაწყვეტილა საერთო ბრძოლისა და მუშაობის მთელ შემდგომ წლებში.

ასტრახანიდან ამხ. ორჯონიკიძე ჩავიდა მოსკოვში. აქ მან მოახსენა [illegible] ლენინს. 1919 წლის ივლისში ამხ. ორჯონიკიძე დაინიშნა დასავლეთის ფრონტის XVI არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად, სადაც იგი სამი თვის განმავლობაში უშუალოდ ხელმძღვანელობდა საბრძოლო ოპერაციებს. 1919 წლის ოქტომბერში პარტია და მთავრობა გზავნიან მას ფრონტზე დენიკინის წინააღმდეგ.

როგორც ილიჩი სწერდა, ეს იყო „სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უაღრესად კრიტიკული, ალბათ, ყველაზე უფრო კრიტიკული მომენტიც კი".

ოქტომბრის დამლევს თეთრებმა დაიკავეს ვორონეჟი, შემდეგ ორიოლი; დენიკინი უახლოვდებოდა ტულას და თავის სიახლოვით თვით მოსკოვს უმუქრებოდა.

მთავარი სარდლობა ტროცკის მეთაურობით სრულიად ვერ ართმევდა თავს თავდაცვის ამოცანებს, ახდენდა ფრონტის დეზორგანიზაციას. სამხრეთის ფრონტზე სწყდებოდა რევოლუციის გამარჯვების საკითხი. ლენინმა და ცენტრალურმა კომიტეტმა, მიიღეს რა დენიკინის განადგურების გენიალური სტრატეგიული გეგმა, რომელიც ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა, დაავალეს სტალინს ოპერაციების ორგანიზაცია სამხრეთის ფრონტზე. ამხანაგი სტალინის მოთხოვნით, ტროცკის ჩამოერთვა სამხრეთის ფრონტის საქმეთა ხელმძღვანელობა. ამხ. ორჯონიკიძე დაინიშნა XIV არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად. 1919 წლის 15 ოქტომბერს ამხ. ორჯონიკიძე სერპუხოვიდან ლენინისათვის გაგზავნილ მოკლე წერილში სწერდა:

„...შტაბებში წესრიგის ნატამალიც არ არის, ფრონტის შტაბი — ბალაგანია. სტალინი ახლა მხოლოდ იწყებს წესრიგის დამყარებას. ნაწილებს შორის მეფობს განწყობილება, რომ საბჭოთა ხელისუფლების საქმე წაგებულია, სულ ერთია [illegible]. XIV არმიაში [illegible], რომელიც თავის თავს ანარქისტს უწოდებს, თავს ესხმის ჩვენს შტაბებს, აპატიმრებს მათ, მიაქვს სამხედრო [illegible], ხოლო ბრიგადის მეთაური თავის [illegible] ფრონტზე მდგომარეობის [illegible]. საქმე არც XIII არმიაშია უკეთესად. საერთოდ, ყველგან ის, რასაც აქ ვხედავ და ვხედავ — როგორც ანეკდოტურია. სად არის ტროცკის ეს წესრიგი, დისციპლინა და რეგულარული არმია?!

როგორ მიიყვანა მან საქმე ასეთ რეჟიმამდე? ეს პირდაპირ გაუგებარია. და მაინც, ვლადიმერ ილიას-ძევ, ვინ სთქვა, რომ სოკოლნიკოვი არმიის სარდლად გამოდგება? ნუთუ სამხედრო ხელმძღვანელებს არ შესწევთ იმის უნარი, რომ მოიფიქრონ სხვა უფრო რამე ჭკვიანური?

ცუდი მეტყვეა არმიისთვისაც და ქვეყნისთვისაც. ნუთუ იმისათვის, რომ სოკოლნიკოვის თავმოყვარეობა არ შეილახოს, [illegible] მთელი არმია".

ამ წერილს ლენინმა მიაწერა: „[illegible] და სტალინის დახასიათებისათვის, სერგო უაღრესად სანდო სამხედრო მუშაკია, იგი რომ უაღრესად ერთგული და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერია; მე მას თვითონ ვიცნობ ათ წელზე მეტია".

ასრულებდა რა ამხანაგ სტალინის გენიალურ სტრატეგიულ გეგმას, XIV არმია, რომელსაც ამხ. სერგო ორჯონიკიძე და უბორევიჩი ხელმძღვანელობდნენ, გამანადგურებელ ლახვარს სცემდა დენიკინელებს და სახელოვანი წითელი არმიის სხვა ნაწილებთან ერთად ათავისუფლებდა უკრაინას თეთრგვარდიელთა ურდოებისაგან.

1920 წლის იანვარში ამხ. ორჯონიკიძე ინიშნება კავკასიის ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრად. თებერვალში, რუსეთის კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით, იქმნება ბიურო საბჭოთა ხელისუფლების აღსადგენად ჩრდილო-კავკასიაში. ბიუროს თავმჯდომარედ ინიშნება ამხ. სერგო ორჯონიკიძე, მის მოადგილედ — ს. მ. კიროვი. ჩრდილო-კავკასიაში ამხ. სერგო ლენინისა და სტალინის მოწონებით გაბედულად სწყვეტს ყველაზე რთულ და ძნელ საკითხს — მთის საკითხს.

1920 წლის აპრილში ამხ. ორჯონიკიძე იწყებს დახმარების გაწევას ბაქოს პროლეტარიატისათვის. 27 აპრილს ღამით, 28 აპრილს რომ უნდა გათენებულიყო, მუსავატელთა მთავრობა აზერბაიჯანში დამხობილ იქნა. 1920 წლის 30 აპრილს ამხ. სერგო ორჯონიკიძე კიროვთან და XI არმიის სარდალ ამხ. ლევანდოვსკისთან ერთად ჩავიდა ბაქოში — ამიერ-კავკასიის ბოლშევიზმის განთავისუფლებულ ციტადელში.

ამხ. ორჯონიკიძის როლი საბჭოთა აზერბაიჯანისათვის ბრძოლაში მოკლედ, მაგრამ ამომწურავად შეაფასა ამხანაგმა სტალინმა კრემლში აზერბაიჯანის დელეგაციის მიღების დროს 1936 წლის 21 იანვარს.

ამხანაგი სტალინი აქ მის გამოჩენას ტრიბუნაზე შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

„სალამი აზერბაიჯანის განმათავისუფლებელს! იგი პირველი შევიდა აზერბაიჯანში!"

1921 წელს ამიერ-კავკასია საბოლოოდ იქნა განთავისუფლებული იმპერიალიზმის აგენტებისაგან, მენშევიკებისა და ყველა სხვა კონტრრევოლუციონერებისაგან.

ამხ. ორჯონიკიძე მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულ ქართველ მშრომელთა სათავეში დაბრუნდა ტფილისს. საქართველოში მენშევიკური რეჟიმისა და სომხეთში სომხეთის ბურჟუაზიული პარტიის „დაშნაკცუტიუნის" ბატონობის ლიკვიდაცია, რაც ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელი მონაწილეობით განხორციელდა, მოასწავებდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას მთელ ამიერ-კავკასიაში.

[illegible] ამხ. ორჯონიკიძის [illegible] დამსახურებისათვის [illegible] სრულიად რუსეთის ცაკის 1921 წლის 19 მაისის დადგენილებით ამხ. სერგო ორჯონიკიძე დაჯილდოვებულ იქნა წითელი დროშის ორდენით.

ამიერ-კავკასიის ეროვნულ რესპუბლიკებში მოუხდა ამხ. ორჯონიკიძეს საბჭოთა ხელისუფლების ჩამოყალიბება, პარტიული ორგანიზაციის განმტკიცება, კომუნისტებისათვის მასების ხელმძღვანელობისა და მასების აღზრდის სწავლება.

ამხ. ორჯონიკიძემ გაშალა აქ თავისი ნიჭი უდიდესი პარტიული ორგანიზატორისა და ლენინურ-სტალინური სკოლის ხელმძღვანელისა. ამხ. ორჯონიკიძე დაუღალავ ბრძოლას აწარმოებდა ნაციონალ-უკლონისტებთან და დიდმპყრობელურ შოვინისტებთან, ყოველმხრივ განამტკიცებდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს, განსაკუთრებით ანხორციელებდა ლენინისა და სტალინის მითითებებს. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ამიერ-კავკასიის ფედერაცია, რომელმაც მისივე ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწია.

მოიწვია პარტიის მე-14 ყრილობა. ამ ყრილობაზე აშკარად გამოვიდა საზიზღარი ზინოვიევური ოპოზიცია. ნაცადი ლენინელების მთელ სტალინურ კოჰორტასთან ერთად ამხანაგი ორჯონიკიძე გამანადგურებლად ესხმის თავს ბოლშევიზმის მოღალატეებს — ზინოვიევსა და კამენევს, რომლებიც ამოვიდნენ პარტიის სტალინის მიერ დამუშავებული ლენინური გენერალური ხაზის წინააღმდეგ. მე-14 ყრილობიდან ამხ. ორჯონიკიძე შედარებით მოკლე ხნით ბრუნდება ამიერ-კავკასიაში, შემდეგ კი საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის მიერ იგზავნება ჩრდილო-კავკასიაში, სადაც ცოტა ხანს მუშაობს საკ. კ. პ. (ბ) სამხარეო კომიტეტის პირველ მდივნად.

1926 წლის 3 ნოემბერს ცკ-ის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა ამხ. სერგო ორჯონიკიძე დაამტკიცა ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამხ. ორჯონიკიძე დაინიშნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ. ცენტრალურმა საკონტროლო კომისია — მუშგლეხინსპმა, რომელსაც ამხ. ორჯონიკიძე ხელმძღვანელობდა, დიდი როლი შეასრულა კონტრრევოლუციური ტროცკისტულ-ზინოვიევური ბლოკის განადგურებაში. კაპიტალიზმის ტროცკისტ-ზინოვიევურ რესტავრატორთა ბლოკის განადგურების შემდეგ მალე თავი წამოჰყო მემარჯვენე ოპოზიციამ ბუხარინისა, ტომსკისა და რიკოვის მეთაურობით. სტალინის ერთგულმა თანამებრძოლმა ამხ. ორჯონიკიძემ ამ მომენტშიც ოპორტუნისტ-კაპიტულანტებთან ბრძოლაში ჩააქსოვა მთელი თავისი მგზნებარე ტემპერამენტი, დიდი პროლეტარული რევოლუციონერის მთელი თავისი პარტიული გამოცდილება.

1930 წლის 10 ნოემბერს სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა ამხანაგი ორჯონიკიძე დანიშნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ. საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე, რომელიც შედგა 1930 წლის 17-21 დეკემბერს, იგი აირჩიეს პოლიტბიუროს წევრად. სტალინის დირექტივა — მოკლე ვადაში გადავაქციოთ საბჭოთა კავშირი მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ — შეიქმნა მძიმე მრეწველობის მუშაკთა მთელი არმიის დროშად. მძიმე მრეწველობისა, რომელიც საყვარელი, მებრძოლი ხელმძღვანელის ამხ. სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით სწყვეტდა სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთ უძნელეს და უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

1931 წლის 4 თებერვალს წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვაში ამხანაგი სტალინი ამბობდა:

„ჩვენ ჩამოვრჩით მოწინავე ქვეყნებს 50-100 წლით. ჩვენ ეს მანძილი 10 წელში უნდა გავირბინოთ. ჩვენ ან გავაკეთებთ ამას, ან გაგვსრესენ...

ბოლშევიკები უნდა დაეუფლონ ტექნიკას. დროა ბოლშევიკები თვითონ გახდნენ სპეციალისტები. რეკონსტრუქციის პერიოდში ტექნიკა სწყვეტს ყველაფერს".

სტალინის ეს მითითება მრეწველობის მუშაობის პროგრამა იყო. საბჭოთა კავშირის მთელი მძიმე ინდუსტრია თავისი რკინის სახკომის სახელოვანი ხელმძღვანელობით ერთი გამარჯვებიდან მეორისაკენ მიდის.

სსრ კავშირის ცაკის 1935 წლის 22 მარტის დადგენილებით, ამხანაგი ორჯონიკიძე დაჯილდოვებულია ლენინის ორდენით.

1936 წლის იანვარში სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ამხ. ორჯონიკიძე, წინათ ლენინის ორდენით დაჯილდოვებული, შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა.

33 წელს ემსახურება მუშათა კლასს და მშრომელ მასებს ამხ. სერგო ორჯონიკიძე — გამოჩენილი რევოლუციონერი, შეუდრეკელი პარტიელი, კრისტალურად წმინდა ბოლშევიკი — ლენინელი და უაღრესად თვალსაჩინო უნიჭიერესი სახელმწიფო მოღვაწე და სამეურნეო მუშაკი. ამხ. სერგო, ადამიანებთან ურთიერთობაში საოცრად გულისხმიერი და ყურადღებიანი, პარტიისა და ხალხის მტრების მიმართ შეურიგებლობის ნიმუშს გვიჩვენებს.

მთელი მრავალმილიონიანი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ მიესალმება დღეს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საუკეთესო შვილს, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ერთგულ თანამებრძოლსა და მეგობარს, თავის საყვარელ სერგოს.

ვ. ტრონოევი

გულისხმიერი ხელმძღვანელი

ამხანაგი სერგო ბაქოში, ბალახანში ჩამოვიდა 1907 წლის დამდეგს, სწორედ იმ დროს, როცა ბოლშევიკთა ფრაქცია გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკებთან და საბოლოოდ სპობდა შენდრიკოვშჩინას მისი ეკონომიზმისა და საჩუქრების ფეშქაშურ, შაურიან პოლიტიკიანად.

მე ამ დროს ვმუშაობდი შამსი ასადულაევის სარეწაოს სახელოსნოს ზეინკლად, რამანაში, და ვიყავი რამანინის რაიონის ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ და პარტორგანიზატორად.

ერთხელ ამხ. ალიოშა ჯაფარიძემ, რომელიც მაშინ ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირის მდივნად მუშაობდა და ჩვენი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო, მაცნობა:

— ამ დღეებში თქვენთან, სარეწაოს ახლად მოწყობილ [illegible] ფერშლად მოვა ჩვენი კარგი პარტიული ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე. უნდა შეუქმნათ მას საჭირო პირობები მუშაობისათვის.

ამხ. სერგოს მოსვლის შემდეგ ჩვენმა ბალახნის, კერძოდ რამანინის ორგანიზაციამ იერიში მიიტანა მენშევიკებზე, ხოლო უნდა ითქვას, რომ იმ დროს ასადულაევის სარეწაოში იმყოფებოდა მენშევიკთა ძლიერი ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები: სახელმწიფო სათათბიროს წევრი ისიდორე რამიშვილი, ვასილ რომაშკინი, სტეფან კომისაროვი და სხვ.

ამხ. სერგოს მოსვლის შემდეგ ჩვენმა ბოლშევიკურმა უჯრედმა იწყო სწრაფად ზრდა. ყველა პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხზე მუშებში მუდამ გადიოდა ჩვენი ბოლშევიკური წინადადებანი.

ამხ. სერგოს ხელმძღვანელობით რამანინის რაიონში 1907 წელს ჩვენ კარგად მოვაწყვეთ საპირველმაისო გაფიცვა. უჯრედებში წინასწარ მოვამზადეთ ამხანაგები, გავანაწილეთ როლები, თუ ვინ სად გაიფიცებოდა და მისცემდა საგანგაშო საყვირს. პირველი სასიგნალო საყვირი მისცეს ასადულაევის სარეწაოში, ხოლო მის შემდეგ — მანთაშევის, როტშილდის, პიტოევის და სხვ. სარეწაოებში.

ჩატარდა სახელდახელო საპირველმაისო მასობრივი მიტინგები და მუშებს მოვუწოდეთ საერთო დემონსტრაციაზე, რომელიც სტეფან რაზინის მთაზე იყო დანიშნული.

ასეთი უნარიანი ორგანიზაციის მეოხებით 1907 წლის საპირველმაისო გაფიცვა დიდი წარმატებით ჩატარდა. გაიფიცა ბალახანის რაიონის თითქმის ყველა სარეწაო და ქარხანა.

ჩვენ, რამანელები, ორგანიზებულად მოვედით სტეფან რაზინის მთაზე, სადაც იკრიბებოდა ბალახანის რაიონის საერთო საპირველმაისო მასობრივი მიტინგი. მოვიდა ორი ათასზე მეტი მუშა. აქვე იყვნენ ჩვენი პარტიული ხელმძღვანელები: ალიოშა ჯაფარიძე, სტეფან შაუმიანი, სერგო ორჯონიკიძე, სარატოვეცი და სხვ., ჩვენ ცენტრში აღვმართეთ წითელი დროშა საპირველმაისო ლოზუნგით, ვარიგებდით საპირველმაისო ფურცლებს, ვმღეროდით რევოლუციურ სიმღერებს, და აი ისის იყო გავხსენით მიტინგი, რომ საბუნჩის მთაზე გამოჩნდნენ ყაზახები, ხოლო ჩვენთან, სტეფან რაზინის მთაზე, — პოლიცმეისტერის თანაშემწე და ბოქაული ცხენოსანი და ქვეითი გოროდოვოებით.

პოლიციამ წინადადება მოგვცა დაუყოვნებლივ დავშლილიყავით, მაგრამ ჩვენ ყურადღებას არ ვაქცევდით პოლიციელებს და განვაგრძობდით მიტინგს. მაშინ პრისტავმა მისცა სიგნალი, რომლის გაგონებისთანავე ყაზახები გამოქანებულნი დაგვერივნენ და დაგვიწყეს მათრახის ცემა. ჩვენ მათ ქვებით ვიგერიებდით. შეტაკების შედეგად დააპატიმრეს ბევრი ამხანაგი, მათ შორის ამხ. სერგოც შეიპყრეს.

საპყრობილიდან გამოსვლის შემდეგ ამხ. სერგო დიდი ენერგიით შეუდგა რევოლუციურ მუშაობას. მისი ბინა გადაიქცა ჩვენი ფრაქციის შტაბად, სადაც არაერთხელ ჩატარებია თავისი სხდომები პარტიის რაიონულ კომიტეტს.

ჩვენ, რომლებიც ამხ. სერგოსთან ერთ ეზოში ვცხოვრობდით, ხშირად ღამის ორ-სამ საათამდე ვრჩებოდით მასთან და ვმსჯელობდით პოლიტიკურ და ორგანიზაციულ საკითხებზე. თავისი ახალგაზრდობის მიუხედავად, ამხ. სერგო კარგად ერკვეოდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიაში და ლენინურ-ბოლშევიკური ტაქტიკის საკითხებში.

ამხ. სერგოს ხელმძღვანელობით, 1907 წლის ივლისსა თუ აგვისტოში ჩვენ ასადულაევის სარეწაოზე მოვაწყვეთ საერთო გაფიცვა, რომლის დროსაც გავაერთიანეთ ყველა მუშა: მბურღავთა პარტია, ამომქაჩავები, მზეთავები და სახელოსნოს კვალიფიციური მუშები, სულ 600 კაცზე მეტი. საერთო კრებაზე არჩეულ იქნა საგაფიცვო კომიტეტი ამხ. სერგოს, ამირ-ასლანის ([illegible]), მაშტაკოვის, რამაშკინისა და ტრონოევის შემადგენლობით.

1907 წელს, პარტიის ლონდონის ყრილობის შემდეგ, ბაქოში ჩამოვიდა ჩვენი დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი. იგი ხშირად იყო ხოლმე ამხ. სერგოს ბინაზე და გვაძლევდა მითითებებსა და დირექტივებს პარტიულ და პროფესიულ მუშაობაში. ამხანაგი სტალინი არაერთხელ გამოდიოდა მენშევიკებთან და ესერებთან გამართულ დისკუსიებზე როტშილდის ყაზარმებში და სხვა ადგილებზე.

ჩვენი დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის უდიდესი მუშაობა მკაფიოდ დაგვანახვა ამხ. ლ. ბერიამ თავის ისტორიულ მოხსენებაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის".

აქ მე მხოლოდ მინდა აღვნიშნო, რომ ამხანაგ სტალინის ჩამოსვლის შემდეგ, მისი პირადი ხელმძღვანელობით, დაიწყო დაუნდობელი ბრძოლა მენშევიკებთან და ესერებთან, რამაც უზრუნველყო მუშათა ფართო მასების დარაზმვა ჩვენი ბოლშევიკური პარტიისა და ნავთის მრეწველობის მუშათა კავშირის გარშემო, რომელიც ფაქტიურად ჩვენი ფრაქციის ლეგალურ შტაბს წარმოადგენდა ლენინურ-სტალინური ხაზის გატარებისათვის ბრძოლაში.

ამხანაგების სტალინის, ა. ჯაფარიძის, ს. შაუმიანის, ს. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ ჩატარდა მასობრივი კამპანია ნავთის მრეწველებთან თათბირის საკითხის გარშემო.

ამხანაგ სტალინის წინადადებით ბოლშევიკებმა გაატარეს თათბირის ბოიკოტი შემდეგი ლოზუნგით: „თათბირი გარანტიებით ან არავითარი თათბირი". ბოლშევიკურმა ტაქტიკამ აიძულა მეფის მოხელე ჯუნკოვსკი, „ეს მეფის კლოუნი", როგორც მას ამხანაგი სტალინი უწოდებდა, მოეცა ნებართვა თავისუფლად შევკრებილიყავით ხოლმე სარეწაოებსა და ქარხნებში, [illegible] განაწესები და მოთხოვნები, ამოგვერჩია რწმუნებულები, რომლებსაც პიროვნების ხელშეუხებლობის გარანტია ეძლეოდათ.

ამხ. სერგოს ხელმძღვანელობით ჩვენ, რამანელებმა, გავაჩაღეთ ბრძოლა მენშევიკებთან მე-3 სახელმწიფო სათათბიროს საარჩევნო კამპანიის პერიოდში. ჩვენს სარეწაო კრებაზე ბოლშევიკთა მხრიდან გამოდიოდა ამხ. სერგო, მენშევიკთა მხრიდან — სეით დევდარიანი და სხვ. წამოყენებული კანდიდატებისათვის კენჭისყრის დროს, ამხ. სერგოს წინადადებით, აბსოლუტური უმრავლესობით გავიდა ჩემი კანდიდატურა სათათბიროს ამომრჩევლად.

ბაქოს ყველა საარჩევნო კრებაზე ამომრჩევლებად გავიდნენ ბოლშევიკები: ბალახანიდან — მე, ბიბი-ეიბათიდან — ბოკოვი, შავი ქალაქიდან — არაქელოვი და რკინიგზის დეპოდან — მორდოვცევი.

1907 წლის ნოემბერსა თუ დეკემბერში, კარგად არ მახსოვს, ამხ. სერგო დააპატიმრეს და ბაილოვის საპყრობილეში ჩასვეს.

როცა ჩვენ შევიტყვეთ, რომ ამხ. სერგოს გასამართლება იწყებოდა (მას ასამართლებდა ტფილისის სასამართლო პალატის გამსვლელი სესია ბაქოში 1908 წლის დამდეგს), მთელი ჩვენი უჯრედი და მებრძოლი ჯგუფი მივედით სასამართლოში. შევთანხმდით, რომ თუ ამხ. სერგოს დიდ სასჯელს მისცემდნენ, [illegible] ჟანდარმები და მოგვეწყო სერგოს გაქცევა.

როცა სერგო მოიყვანეს და სასამართლოს შენობის ეზოში დასტოვეს, ჩვენ მოვახერხეთ მასთან მისვლა და გადავეცით ჩვენი განზრახვა, მაგრამ მან კატეგორიული პროტესტი განაცხადა.

დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მე ამხ. სერგოს შევხვდი 1918 წელს, გაჩაღებული სამოქალაქო ომის მომენტში, ჩრდილო-კავკასიაში, პიატიგორსკში, რომელსაც გარს ერტყმოდნენ თეთრგვარდიელი ბანდიტები: დენიკინი, ბიჩერახოვი და სხვ.

ამხ. სერგო მოვიდა მატარებლით პიატიგორსკის ორგანიზაციის საერთოპარტიულ კრებაზე და გამოვიდა მოხსენებით საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის შესახებ, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შესახებ, აგრეთვე მემარცხენე ესერების, „მემარცხენე" კომუნისტების და სხვა გამცემლობის შესახებ.

მოხსენების დასასრულ ამხ. სერგო ლაპარაკობდა კონტრრევოლუციასთან ბრძოლის ღონისძიებებზე. გვაძლევდა რა მითითებებს, მან მოგვიწოდა შეკავშირებისა და ბოლშევიკური დისციპლინისაკენ.

მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდში მე არაერთხელ შევხვედრივარ ამხ. სერგოს: კისლოვოდსკში, ბაქოში და სხვა ქალაქებში. და იგი ყოველთვის განსაკუთრებული სულიერი სითბოთი გადაგეხვევა, გადაგკოცნის, გამოგკითხავს — როგორ ცხოვრობ, როგორ მუშაობ, როგორ არიან ოჯახის წევრები და სხვ.

უკანასკნელად ამხ. სერგოს შევხვდი მოსკოვში 1935 წელს.

ბაქოს საბჭომ მე გამგზავნა მოსკოვში, როგორც ბრიგადის მეთაური, ბაქოს იმ წყალსადენის მასალებისა და მოწყობილობის დაკვეთების დასაჩქარებლად, რომელიც ახლა შენდება. მე გადავწყვიტე მესარგებლნა მოსკოვში ყოფნით და მენახა ამხ. ს. ორჯონიკიძე.

ამხ. სერგომ ძალიან გულთბილად მიმიღო. ეს იყო 27 ივლისს. ჩვენ მივესალმეთ, გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ ერთმანეთი, როგორც ძველმა მეგობრებმა. შემდეგ ამხ. სერგომ ამხედ-დამხედა და მკითხა რამდენი წლისა ხარო და როცა ვუპასუხე 53 წლისა-მეთქი, მითხრა: შენ 4 წლით ჩემზე უფროსი ხარ, უფრო ახალგაზრდად კი გამოიყურებიო.

ამხ. სერგო დაინტერესდა ჩემი მივლინებით, მკითხა, თუ რა გვესაჭიროებოდა. მე ვუჩვენე მას უმნიშვნელოვანესი მასალების სია. მან გამოიძახა საქმეთა მმართველი ამხ. სემუშკინი და დაავალა სახალხო კომისარიატის მუშაკებთან ერთად გადაეთვალიერებინა სია და „აუცილებლად დახმარებოდა ბაქოელებს".

დღის პირველ საათისათვის ამხ. სერგო საკ. კ.პ.(ბ) ცენტრალურ კომიტეტში გაიწვიეს. წასვლისას მან მითხრა:

— ღამის 12 საათზე აქ მოდი, შემდეგ ჩემსას წავიდეთო.

დანიშნულ საათზე მივედი, — მასთან კიდევ გრძელდებოდა მეტროს კომისიის თათბირი. თათბირის შემდეგ ჩვენ გავემგზავრეთ კრემლში ამხ. სერგოს ბინაზე. თავის ცოლს რომ გამაცნო, ამხ. სერგომ უთხრა მას:

— მოვიყვანე კარგი სტუმარი, შეხვდი, გაუმასპინძლდი.

ვახშმად დავსხედით, ვიგონებდით რევოლუციური არალეგალობის სხვადასხვა ეპიზოდებს და ამ საუბარში ღამის სამმა საათმა მოატანა. განსაცვიფრებელი მდიდარი მეხსიერება აქვს ამხ. სერგოს, მას ძალიან ბევრი ამხანაგი ახსოვს.

სახლში წასვლა რომ დავაპირე და მადლობა გადავუხადე ამხ. სერგოს გულთბილი მიღებისათვის, მან მითხრა:

— ვერსადაც ვერ წახვალ, ლოგინი მზად არის. შეგიძლია დაიძინო.

შემდეგ წამიყვანა, მიჩვენა ბინის მდებარეობა და დავწექი.

ჩვენი რკინის სახკომის ასეთი ამხანაგური შეხვედრა მთელ სიცოცხლეში დარჩება ჩემს მეხსიერებაში.

ამხ. სერგო ისეთივე უბრალო, მგრძნობიარე, გულისხმიერი ამხანაგი დარჩა, როგორიც იყო იგი თითქმის 30 წლის წინათ.

ამხანაგები ორჯონიკიძე და კიროვი სამოქალაქო ომის დროს.

ფოტო „სოიუზფოტოს"

მადრიდის გარშემო სანგრებს სთხრიან

მადრიდი, 26 ოქტომბერი. კასტილიის ტრადიციულ პეიზაჟში, რომელიც გარს აკრავს მადრიდს, არსებითი ცვლილება ხდება: ჩნდება სანგრები. ყოველდღე უფრო-დაუფრო მეტ სანგრებს ვხედავთ. ისინი მრავალი თიხის ნაკადებად სხვადასხვა მხარეს მიიმართებიან. სანგრებს სთხრიან დედა-ქალაქის გარშემო ბარიერად, რომელზედაც მტერმა თავი უნდა გაიტეხოს. მტერი კი მართლაც ახლოსაა. კიდევ 2-3 ათეული კილომეტრი და უკვე შეიძლება ბრძოლის მუსიკას უსმინოთ, მაგრამ აქ კვირას, 25 ოქტომბერს, მხოლოდ ბარებისა და წერაქვების ხმაურია გამეფებული. ათასობით ადამიანები მხიარულად და თან გაფითრებული ბლუზებით უტევენ კასტილიის ძველ ყვითელ მიწას. ისინი აქ მოსულან მუშათა პარტიებისა და კავშირების მოწოდებით.—დღეს „წითელი კვირაობაა“, — ამბობენ ერთნი.—„სამხედრო კვირაობაა“, — გაიძახიან მეორენი. რასაც უნდა უწოდებდნენ ამას, მნიშვნელოვანია ერთი რამ — მადრიდის გარშემო სანგრებს სთხრიან.

მუშაობა სდუღს. აქ მზეა ერთადერთი „გარეშე მტერი“. რამდენიმე ცივი დღის შემდეგ იგი უეცრად გავარვარდა და ეს სწორედ „სამხედრო კვირაობისას“. სწორედ ამიტომ არის, რომ ასე ჩქარად ეცემა ოფლი წერაქვთა და ბართა ტარებს, ხელებზე ნაადრევად ჩნდება ბუშტულები და კოჟრები. ამიტომ არის, რომ ასე ბევრი საქმე აქვთ ქალებს, რომელთაც „ბოტიხოსით“ (თეთრი თიხის ორყურიანი ქურქლები) წყალი დააქვთ.

კრიტიკოსი იტყოდა, რომ მადრიდის პროლეტართა საკუთარი ხელით ნაკეთები სანგრები ჯერ კიდევ მთლად არ შეეფერება საფორტიფიკაციო მეცნიერების მოთხოვნებს, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის მოსათავებელი და რომ ორგანიზაციაში შეიძლებოდა მეტი წესრიგი და ნაკლები ფუსფუსი ყოფილიყო. კრიტიკოსი შეუწყნარებელ შეცდომას ჩაიდენდა, თუ ამასთან ვერ შეამჩნევდა ძირითადს, სახელდობრ იმას, რომ მადრიდის ხალხი თვითონ ამზადებს საკუთარ თავდაცვას. რომ შემდგომი დასვენების უფლება მოიპოვოს, მადრიდის ხალხმა ახლა უარი სთქვა თავის საკვირაო დასვენებაზე. მან თვითონ გადასწყვიტა ასე თავისი ორგანიზაციების მოწოდებით. ამიტომ მომუშავეთა შორის დაღვრემილი სახეები არა სჩანს. — პირიქით, ამ, რაც უნდა იყოს, მძიმე შრომის სანახაობა უფრო დღესასწაულს, ხალხის ძლიერების მოისხანე და მხიარული დღესასწაულს წააგავს. აქ თვითეული თავს გრძნობს მტრის—ფაშიზმის მესაფლავედ.

მადრიდისათვის ბრძოლებში ფაშიზმმა თავისი სამარე უნდა ჰპოვოს—ეს ლოზუნგი აქ მეტად კონკრეტულ აზრს ღებულობს. თვითეული სანგარი ფაშისტთა ამა თუ იმ მეთაურისადმია მიძღვნილი. მაგალითად, ხანში შესულმა მადრიდელმა დურგალმა უკვე დაისახა კლიენტი: მან ბარით შემოხაზა თავის მიერ ამოთხრილი ტრანშეის ნაწილი. აქ უნდა ჩაწვეს ჭკუანაკლები, მაგრამ სისხლის მსმელი მოხუცი კაბანელიასი, რომელიც ბურგოსის უკაცრავად პასუხია, „მთავრობას“ მეთაურობს. დურგლის გვერდით ახალგაზრდა მესანგრეა, რომელიც პიონერისა და კომკავშირელის ასაკთა საზღვარზე იმყოფება. იგი მოითხოვს, რათა მისი სანგარი თვით გენერალ ფრანკოს დაეთმოს. ირკვევა, რომ ამასვე ბევრი სხვაც მოითხოვს. მუშაობის მსვლელობაში წამოიჭრება ხოლმე სასაუბრო დავა, რომლიდანაც ახალგაზრდა მესანგრე სავსებით გამარჯვებული გამოდის...

ყველანი აღსავსე არიან ისეთი სულისკვეთებით, როცა მომენტის სერიოზულობის შეგნება შეხამებულია ისეთ ადამიანთა სიხარულთან, რომელნიც ამაყობენ თავისი მონაწილეობით, შესაძლოა, პირველი მონაწილეობითაც კი საერთო ბრძოლაში.

ეს სულისკვეთება კიდევ უფრო ძლიერდება იმით, რომ ხოსე დიასი, პასიონარია და ესპანეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები აგრეთვე სთხრიან სანგრებს ყველას თანაბრად. სხვანაირად როგორ შეიძლება! კომპარტია ინიციატორი იყო მასების მობილიზაციისა საფორტიფიკაციო სამუშაოებისათვის. გარდა უშუალო პრაქტიკული მუშაობისა, ამ ინიციატივამ საერთოდ გაააქტივა მრავალი ათეული ათასი კაცი, რომელნიც დღემდის განზე იდგნენ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობისაგან.

ესპანეთის პროლეტარიატის ხელმძღვანელნი, რომლებმაც ეს მასები თავისი სიტყვებითა და ორგანიზაციული მუშაობით ფეხზე დააყენეს, მოსულან აქ, რათა თავისი საქმე ცოცხალი მაგალითით განამტკიცონ. არ ისინი წერაქვით მოქმედებენ. მუშაობენ ისე, რომ პირდაპირ ოფლში იწურებიან. ხოსე დიასმა პიჯაკი გაიხადა და ჟილეტის ამარა დარჩა. ც. კ.-ის წევრნი ყველაზე ძნელ უბანში მოხვდნენ—წერაქვი ძალიან ხშირად წკრიალით ხვდება რაღაც მაგარ ქანებს. ეს მუშაობაა, ნამდვილი მუშაობა! არავითარი სპექტაკლი, არავითარი ამაღლა, არავითარი მაღალფარდოვანი ჟესტი, პოზა, არავითარი ფოტოგრაფი; მხოლოდ ერთი კაცი მუშაობს „ლეიკით“. მაგრამ ამჟამად ისიც გაცილებით უფრო პროფესიულ მიწისმთხრელსა ჰგავს, ვიდრე ფოტოგრაფ - მოყვარულს. საბჭოთა კინოოპერატორი სრულიად შემთხვევით ამჩნევს ამ ჯგუფს და დიდხანს ვეღარ მოსულა იმ აზრისაგან, რომ შეიძლებოდა ვერც კი შეემჩნია.

მაგრამ ყველაფერი ეს როდია მთავარი. მთავარია სხვა რამ: ათასობით იმპროვიზებულმა მესანგრეებმა იციან, რომ ხოსე დიასი და პასიონარია მათთან ერთად მუშაობენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წერაქვებმა და ბარებმა ერთი წუთითაც არ უნდა დაისვენონ. დაუღალავად უნდა შეიჭრა და შეიჭრა კასტილიის მაგარ მიწაში, რომ იქ რესპუბლიკის ყველა მტერს სამარე განუმზადო.

პასიონარიას შესანიშნავი სახე ოდნავ გაფითრებია ძალღონის დაძაბვით, მაგრამ იგი მხოლოდ ოფლს იწმენდს შუბლზე თავშალის ყურით. მისი ამართული წერაქვი კვლავ ეშვება მიწას ისეთივე სიძლიერით, როგორითაც ყოველთვის გაისმის პასიონარიას სიტყვა.

დიასი გულმოდგინედ, თითქმის მოღუშული, სძლევს რომელიღაც განსაკუთრებით მაგარი ქანის წინააღმდეგობას. ბოლოს, წერაქვმა ამ ქანის უკანასკნელი ნამსხვრევები ამოაგდო. დიასმა გაიღიმა (საქდს).

◇ ◇ ◇

„სსრ კავშირი მშვიდობიანობის საქმისათვის მუშაობს“

ესპანეთის პრესის გამოხმაურება ამხ. მაისკის გამოსვლაზე ლონდონში

მადრიდი, 26 ოქტომბერი. ესპანეთის პრესა კვლავ ცხოველად ეხმაურება საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის ამხ. მაისკის უკანასკნელ გამოსვლას ჩაურევლობის საკითხთა ლონდონის კომიტეტში. არ არის არცერთი გაზეთი, რომელიც არ გამოხმაურებოდეს ამ გამოსვლას და არ გამოეთქვა თავისი უმხურვალესი მადლობა საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიმართ.

„ერალდო დე მადრიდი“ სწერს:

—არ შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი, უფრო კეთილშობილური და უფრო გონივრული პოზიცია“.

რესპუბლიკის პრეზიდენტთან ახლო მდგომი გაზეთი „პოლიტიკა“ სწერს:

„საბჭოთა კავშირმა შეასრულა თავისი მოვალეობა. ჩვენ ყველანი მოველოდით ამას, ვინაიდან მისი მთავრობა ნამდვილი დემოკრატიის მთავრობაა, ხოლო მისი წარმომადგენლები ფარისევლობისა და ორპირობის სკოლაში როდი არიან აღზრდილნი“.

„კლარიდადი“ (ესპანეთის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთის ორგანო) მოწინავე სტატიაში, რომლის სათაურია „ჩვენი დიდი და კეთილშობილი მეგობარი“, კიცხავს „დემოკრატიულ ქვეყანათა დიპლომატიის ეგოისტურ სიბრმავეს“ და აღნიშნავს, რომ ამ ქვეყნების მთელი ცდა მიმართულია იმ რეალობის ჯიუტად უარყოფისაკენ, რომელიც მათ თვალში სცემს. „ესპანეთი მოგიზგიზე კოცონია, — ამბობენ ისინი. — მაშ ზურგი შევაქციოთ მას. დაე თვითონ ჩაიფერფლოს იგი ბოლომდე“. მათ იციან, რომ ეს კოცონი რომმა და ბერლინმა გააჩაღეს და რომ უკანასკნელნი უსირცხვილოდ აყრიან მას შეშას. მიუხედავად ამისა, ეს ქვეყნები განაგრძობენ სინამდვილისათვის ზურგის შექცევას... მათი პოლიტიკა ლაჩრული ეგოიზმისა არის უტყუარი საშუალება — ცეცხლში ჩაგვყაროს ჩვენ ყველანი, — ჩვენც და ისინიც“. „საჭიროა გაბედული მოქმედება,— განაგრძობს გაზეთი, რათა ომი თავიდან ავიცილოთ. სწორედ ასე იქცევა დიდი პროლეტარული დემოკრატია. სსრ კავშირი მშვიდობიანობის საქმისათვის მუშაობს, როცა იგი გამოდის იმ მანევრების წინააღმდეგ, რომელნიც ომს ამზადებენ“.

კომპარტიის ორგანო „მუნდო ობრერო“ სწერს:

„სსრ კავშირი მშვიდობიანობისა და დემოკრატიის აქტიურ დაცვას ახორციელებს“. გაზეთი მკაცრად აკრიტიკებს ინგლისისა და საფრანგეთის პოლიტიკას.

„ელ სინდიკალისტა“ (ანარქოსინდიკალისტთა ორგანო) აღნიშნავს, რომ ბევრი სახელმწიფო ამჟამად ამხედრებულია ესპანეთის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირთან მისი მეგობრობისათვის. „მაგრამ, — ხაზს უსვამს გაზეთი, — საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი იყო ორიოდე სახელმწიფოს შორის, რომლებიც გამოვიდნენ ესპანეთის კანონიერი მთავრობის მიმართ დაშვებული უსამართლობის წინააღმდეგ. ჩვენი დაახლოვება საბჭოთა კავშირთან სავსებით გამართლებულია მისი სამართლიანი და მიუდგომელი პოზიციით“. (საქდს).

◇ ◇ ◇

ერთა ლიგის ჩარევისათვის ესპანეთის საკითხში

ჟენევა, 26 ოქტომბერი. გაზეთი „ჟურნალ დე ნასიონი“ კვლავ დაჟინებით მოითხოვს ერთა ლიგის საბჭოს ჩარევას ესპანეთის საკითხში. „პორტუგალიის გადაწყვეტილება დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს ესპანეთთან,—სწერს გაზეთი, —ამ საკითხს კიდევ უფრო სასწრაფოს ხდის. ერთა ლიგის საბჭომ თავი კომპეტენტურად სცნო საბჭოთა კავშირ-ურუგვაის კონფლიქტში, მაშინ როდესაც იმ შემთხვევაში ომის არავითარი საფრთხე არ იყო. ახლა კი ლაპარაკია ორ მეზობელ სახელმწიფოზე, რომელთაგან ერთს ბრალად ედება ის, რომ იგი ხელს უწყობს მეამბოხეებს მოახდინონ აგრესიული აქტი, აგრესიის იმ განსაზღვრაში შეტანილი, რომელიც განიარაღების კონფერენციამ მიიღო და რომელიც საერთაშორისო უფლებაში შევიდა სსრ კავშირსა და მის მეზობლებს შორის 1933 წელს ლონდონში ხელმოწერილ ხელშეკრულებათა მეშვეობით“ (საქდს).

ესპანეთის მთავრობის ჯარების წარმატებანი

მადრიდი, 26 ოქტომბერი. სამხედრო სამინისტროს 25 ოქტომბრის ცნობით, რესპუბლიკელები ამაგრებენ პოზიციებს ლევიანაში (ოვიედოს სამხრეთ-აღმოსავლეთით). მეამბოხენი ამ უბანზე იხევენ დიდი ზარალით. კერძოდ, 24 და 25 ოქტომბერს მეამბოხეებმა ბრძოლაში მოკლეს 600 კაცი. მთავრობის ავიაცია წარმატებით უწყობს ხელს რესპუბლიკელთა მოქმედებას.

საფრანგეთის პრესის ცნობით, ოვიედო მთლიანად გარშემორტყმულია მთავრობის ჯარების მიერ.

არაგონის ფრონტზე, ტარდიენტის რაიონში (უესკის სამხრეთით), 22 ოქტომბრის ბრძოლების შემდეგ რესპუბლიკელებმა დაიკავეს სამი ახალი პოზიცია, საიდანაც წარმატებით ეკვრიან მეამბოხეებს. ტერუელის რაიონში რესპუბლიკელთა კატალონიისა და ვალენსიის კოლონები შეერთდნენ. მეამბოხენი ამ უბანზე იძულებული არიან უკან დაიხიონ.

სამხრეთ ფრონტზე მეამბოხეთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა მონტოროს (კორდოვის პროვინცია).

ცენტრალურ ფრონტზე, პეგერინოსის რაიონში, მეამბოხეებმა დაიწყეს ძლიერი იერიში რესპუბლიკელთა წინააღმდეგ, მაგრამ რამდენიმე საათის ბრძოლის შემდეგ უკუქცეულ იქმნენ. სიგუენსის რაიონში რესპუბლიკელებმა დაიკავეს ალგორის პოზიცია და წარმატებით იბრძვიან მეამბოხეთა ძლიერი კოლონის წინააღმდეგ.

მადრიდი თავდაცვისათვის ემზადება. საფრანგეთის პრესის ცნობით, ქალაქის ყველა მუშათა ორგანიზაციამ მობილიზაცია გამოაცხადა. პროფკავშირთა წევრებს შეასწავლიან სამხედრო საქმეს. ფიქრობენ, რომ პროფკავშირებს რამდენიმე საათში შეუძლიათ გამოიყვანონ 50 ათასი მეომარი. კვირას 25 ოქტომბერს ათასობით მადრიდელი მოქალაქე გამოვიდა სანგრების სათხრელად ქალაქის ირგვლივ. (საქდს)

◇

უკანასკნელი ცნობები

მთავრობის ჯარები ნავალკარნეროს უახლოვდებიან

პარიზი, 27 ოქტომბერი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ გვადარამის ფრონტის მარცხენა ფლანგზე მთავრობის ჯარებმა, რომლებიც მნიშვნელოვან ოპერაციას ახორციელებდნენ, დაიკავეს სოფელ რობლედო დე ჩაველაზე გაბატონებული პოზიციები. სააგენტოს ცნობით, რესპუბლიკელებმა დაიწყეს შეტევა რაიონში ქალაქ ნავალკარნეროს სამხრეთით და შემოვლითი მანევრით 200 მეტრზე მივიდნენ ქალაქთან. (საქდს)

○

მთავრობის ჯარები წინ მიიწევენ

მადრიდი, 26 ოქტომბერი. დღეს საღამოს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ მთავრობის ჯარები ნელა მიიწევენ წინ ასტურიის დასავლეთ რაიონში. მეამბოხენი იხევენ დიდი ზარალით.

არაგონის ფრონტებზე მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში. დღეს დილას მთავრობის ჯარებმა მთლიანად დაიკავეს ალკუბიერე.

ცენტრალურ ფრონტზე, გვადარამის რაიონში, მთავრობის ჯარების არტილერიამ ჩააჩუმა მეამბოხეთა ბატარეა. მეამბოხეთ იერიში მიაქვთ რესპუბლიკურ ჯარებზე ტოლედოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. რესპუბლიკური ჯარების განლაგებაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. (საქდს).

ჩვენ ესპანეთის ხალხთან ვართ!

სტახანოველების, ინჟინერ-ტექნიკოსებისა და მედმუშაკთა ცოლების საქალაქო მიტინგი

ერთი აზრი, ერთი სურვილი და ერთი გადაწყვეტილება გამეფებული იყო ამ მიტინგის დამსწრეთა გულში:—დავეხმაროთ ესპანეთის მშრომელებს, რისაც რითი შეგვიძლია, ხელი შევუწყოთ თავისუფლებისათვის მებრძოლ ესპანეთის ხალხს.

ესპანეთის ამბებზე, სისხლიანი ფაშიზმის მძვინვარებაზე, ესპანეთის და მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყოველთაო აღშფოთებისა და გულისწყრომის შესახებ ლაპარაკობდნენ მიტინგზე სიტყვებით გამოსული ქალები, სახელოვანი სტახანოველები, ჩვენი მრეწველობის, ტრანსპორტის, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა ცოლები.

მიტინგი გაიმართა რუსთაველის თეატრის დიდ საკონცერტო დარბაზში. 800-მდე მეტი მშრომელი ქალი შეგროვდა აქ.

— ჩვენ უნდა შევატყობინოთ ესპანელ დედებს და დებს, — სთქვა მიტინგზე რკინიგზელი ინჟინრის ცოლმა ამხ. ოლღა მახარაძემ, — რომ ტფილისის მშრომელი ქალები, ისევე როგორც მთელი საბჭოეთის მშრომელი ქალები, მათთან ვართ, ესპანეთის ხალხის ამ გაჭირვების დროს. ჩვენ ვეუბნებით ესპანელ ქალებს—გაგზავნეთ ფრონტზე მტრის შესამუსრავად ქმრები, ძმები, თვითონაც წადით, ჩვენ ვკისრულობთ თქვენი შვილების მოვლას!

— საბჭოთა ქვეყნის ქალები შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების მონაწილენი ვართ,— განაცხადა ეკატერინე გეგეჭკორმა. ჩვენ მოგვეპოვება იმის საშუალება, რომ საკუთარი საოჯახო ბიუჯეტიდან გადავირიცხოთ თანხა ესპანეთის გმირ მებრძოლთა დასახმარებლად. ამ მიტინგზე მოსულმა მედმუშაკების ცოლებმა აქვე შევაგროვეთ ურთიერთშორის 410 მანეთი და შევთანხმდით, რომ ხვალ დილიდანვე გავაძლიერებთ თანხების შეგროვებას ესპანეთში გასაგზავნად.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე — ამხ. ლუბა ასათიანმა, ფანია ხედვინიძემ, მარგო არაქელოვამ, თამარ მამულიამ, ასია მხითარიანმა, თამარ ნასიძემ, ბაბილინა ქეჭინაძემ, მარგო იმიშვილმა, ფ. ყურქესალმა, მარიამ სობოლევამ და სხვ.

მიტინგმა მიიღო მიმართვა ამხანაგ სტალინისადმი.

მიტინგზე გამოყოფილ იქნა ქალთა კომისია ესპანეთის მებრძოლთათვის ქალებს შორის ტფილისში შეგროვილი თანხების შესაგროვებლად.

ესპანეთის ბავშვთა და ქალთა დასახმარებლად შეგროვილია 47.595.000 მანეთი

მოსკოვი, 26 ოქტომბერი. პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო იტყობინება, რომ თანხების შეგროვებამ რესპუბლიკური ესპანეთის ბავშვთა და ქალთა დასახმარებლად, რასაც საბჭოთა კავშირის მშრომელები ეწევიან, დამატებით იმ 26.003.028 მან. და 10 კაპეიკისა, რომელიც გამოქვეყნებული იყო პრესაში 11 ოქტომბერს, მოგვცა კიდევ 21.592.290 მან. და 21 კაპ.,—სულ კი 27 ოქტომბრისათვის შეგროვილია 47.595.318 მანეთი და 31 კაპეიკი.

შეგროვილი თანხებით პროფკავშირებმა შეისყიდეს და ხუთი გემით: „ნევათი“ — 18 სექტემბერს, „ყუბანი“ — 27 სექტემბერს, „ზირიანინით“—4 ოქტომბერს, „ნევათი“ (მეორე რეისი) — 11 ოქტომბერს და „თურქსიბით“ — 21 ოქტომბერს გაგზავნეს შემდეგი პროდუქტები:

გემი „ნევათი“: 30 ათასი ფუთი კარაქი, 95.500 ფუთი შაქარი, 17.000 ფუთი კონსერვი, 18 ათასი ფუთი მარგარინი, 12 ათასი ფუთი საკონდიტრო ნაწარმი.

გემი „ყუბანით“: 30.000 ფუთი ფქვილი, 27.000 ფუთი კარაქი, 61.000 ფუთი შაქარი, 11.000 ფუთი დამარილებული თევზი, 250.000 ქილა კონსერვი და ერთი ათასი ფუთი კვერცხი.

გემი „ზირიანინით“: 135.000 ფუთი ხორბალი, 40.500 ფუთი შაქარი, 375.000 ქილა ხორცის კონსერვი და 125.002 ქილა რძე, ყავა და კაკაო.

გემი „ნევათი“ (მეორე რეისი): 117.000 ფუთი ხორბალი, 18.500 ფუთი ქონი, 2.900 ფუთი კარაქი და 235.000 ქილა კონსერვი.

გემი „თურქსიბით“: 113.000 ფუთი ფქვილი, 60.000 ფუთი შაქარი, 5.000 ფუთი დამარილებული თევზი, 3.000 ფუთი კამფეტი და ნამცხვარი, 200.000 ქილა კონსერვი, 10.000 კომპლექტი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მათ შორის ბავშვის ფეხსაცმელი და პალტო, საბავშვო კოსტუმები და სხვ. (საქდს)

მედსანშრომის კავშირის სანიმუშო საბავშვო ბაგა პლეხანოვის პროსპექტზე (ტფილისი) მომსახურებას უწევს 30 ბავშვს. ბაგა მდიდრულად არის მოწყობილი სათამაშოებით. ჰყავს კვალიფიციური მომსახურე პერსონალი. ბავშვები თვეში მატულობენ საშუალოდ ნახევარ კილოს. სურათზე: ბაგის გამგე ამხ. ე. ივანოვა ერემენკოს ბავშვით.

ფოტო ბუდეშტსკისა (სოიუზფოტოს საქ. განყ.).

ოქტომბრის ზეიმის წინ

ტფილისი

ა.-კ. რკინიგზის ინჟინერ-ტექნიკოსთა და სტახანოველთა ცოლების [illegible] ენერგიულად ემზადებიან ოქტომბრის 19 წლისთავისა და საბჭოების მე-8 საკავშირო ყრილობისათვის.

ტფილისში ქალთა ორგანიზაციები ხსნიან ორ საბავშვო ბაღს: 100 ბავშვისათვის ორთქლმავალ-ვაგონების შემკეთებელ ქარხანასთან და 60 ბავშვისათვის ქ. ტფილისის დისტანციასთან. ბაქოში ორ საცხოვრებელ სახლში გაიხსნება ორი საბავშვო ოთახი, რომლებზედაც მიმაგრებული არიან ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლები. ნავთლუღში იქნება ახალი საბავშვო ბაღი გამოჯანსაღებული მოედნით. საბავშვო ბაღი გაიხსნება საბჭოების მე-8 ყრილობისათვის. ინჟინერ-ტექნიკოსთა ცოლებმა აიღეს შეფობა [illegible] სადგურ-ბაქანზე და იკისრეს მისი კულტურულად მოწყობა ოქტომბრის 19 წლისთავისათვის. ბაქოში, კიროვაბადში, ტფილისში, ერევანში და ლენინაკანში მოწყობილია 20 წრე სტალინური კონსტიტუციის პროექტის შესასწავლად. წრეებში მონაწილეობს ხუთასზე მეტი მუშა და მოსამსახურის ცოლები (საქდს).

სამხრეთ-ოსეთი

ჯავაში აიგეს და მოაწყეს ახალი რაიონული საავადმყოფო 40 საწოლით. საავადმყოფო გაიხსნება ოქტომბრის 19 წლისთავზე.

სოფ. ველთერში (ლენინგორის რაიონი) ოქტომბრის 19 წლისთავისათვის გაიხსნება სამკურნალო პუნქტი, რომელიც მომსახურებას გაუწევს ველთერის სასოფლო საბჭოს 13 კოლმეურნეობას. პუნქტთან მოეწყობა ქალთა კონსულტაცია.

◇

ახალი ამბები

# **მოსკოვის** სახელმწიფო ფილარმონია წელს აწყობს სპეციალურ კონცერტებს საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკალური შემოქმედებიდან. დეკემბერში გაიმართება ტფილისის მეჩონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტი.

# **28 ოქტომბერს** „არსენა მარაბდელით“ გაიხსნა სოხუმის ქართული სახელმწიფო თეატრის სეზონი. თეატრს ხელმძღვანელობს რეჟისორი ვახტანგ ვარიკა.

# **80 ათასი** კვადრატული მეტრი ქუჩა და ტროტუარები იქნება წელს მოასფალტებული სოხუმში.

# **ტფილისის უნივერმაღთან** ამ დღეებში გაიხსნება სანიმუშო ფეხსაცმლის განყოფილება. სანიმუშო ფეხსაცმლის პირველი პარტია 380 ათასი მანეთისა—უკვე მიღებულია. დამატებით მიიღებენ 620 ათასი მანეთის ფეხსაცმელს.

# **ზუგდიდში** დამთავრდა სანიმუშო რაიმაღაზიის მშენებლობა. მაღაზია უზრუნველყოფილია საქონლის საკმაო ასორტიმენტით. მაღაზია გაიხსნება ოქტომბრის 19 წლისთავზე.

◇

შემთხვევები

● **ავტომობილის კატასტროფა.** 25 ოქტომბერს დილით, საქ. სამხედრო გზაზე, მცხეთიდან 2 კილომეტრის დაშორებით მოხდა სატვირთო ავტომანქანის (№ 33—15) კატასტროფა. ამ საქმის გამოძიებამ გამოარკვია შემდეგი: შოფერის თანაშემწემ ფ. ს. სობოლევმა სადგურ ნავთლუღში ტფილისის რაიონის მუშათა მომარაგების განყოფილების ეზოიდან უნებართვოდ გამოიყვანა სატვირთო ავტომანქანა № 33—15 და გაემგზავრა ტფილისის მცხეთაში ჩასვლისას სობოლევმა რამდენიმე მგზავრი წამოიყვანა ტფილისში. თვითეული მგზავრისგან მიიღო ოთხ-ოთხი მანეთი. მცხეთიდან გამოსვლისთანავე სობოლევმა განავითარა დიდი სისწრაფე და ერთ-ერთ მოსახვევში მანქანა გადაბრუნდა. კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდნენ: გ. დ. კობლოვი (ატენის ქ. 9), ა. ნ. ბერიკაშვილი (მცხეთის მცხოვრები), გ. მოლისტრომაშვილი (სოფ. ნატახტარის მცხოვრები), ნ. ვ. ეფოვა (მოდის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელი) და ნ. ა. ალექსეევა (მოდის ფაბრიკის საერთო საცხოვრებელი). დაშავებულები საავადმყოფოში მოათავსეს. ერთ-ერთი მგზავრი კატასტროფის დროს სასიკვდილოდ დაშავდა, მისი ვინაობა გამორკვეული არ არის. თვით სობოლევი და ოთხი მგზავრი უვნებლად გადარჩნენ, მანქანა დაიმსხვრა. სობოლევი შეიპყრეს.

● **დაჭრა.** ქეიფის დროს ა. ა. კაპლუნა (მეტეხის ქ. 22) და კ. ი. ბელუსს (ოქრო მცხოვრები) მოუვიდათ ჩხუბი, რომლის დროს კაპლუნმა დანით დაჭრა ბელუსი.

● **ავარია.** მე-5 მარშრუტის ტრამვაის ვაგონი (ვატმანი ქეშიკაშვილი) მელიქიშვილის ქუჩაზე დაეჯახა სატვირთო ავტომანქანას № 14—66. დაჯახებისას მძიმედ დაშავდა შოფერი ა. ი. აკოფოვი. ქეშიკაშვილს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ.

ს პ ო რ ტ ი

ორდენოსანი იოსელიანის მსოფლიო რეკორდი

გუშინ „დინამოს“ სტადიონზე [illegible] ტფილისის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო [illegible] ოსტატმა — ორდენოსანმა მიტო იოსელიანმა. მიმდინარე წლის სექტემბერში ამხ. იოსელიანი ტაშკენტში ადგილიდან გადახტა 3 მეტრსა და 45 სანტიმეტრზე, რითაც დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში. იოსელიანის მიერ მაშინ მიღწეული შედეგი მხოლოდ ორი სანტიმეტრით ჩამორჩა ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს. ამის შემდეგ ამხ. იოსელიანი სისტემატურად ვარჯიშობდა ხტომის ამ დარგში და გუშინ დღის ორ საათზე იგი გადახტა 3 მეტრსა და 48,5 სანტიმეტრზე, რითაც ადგილიდან სიგრძეზე ხტომის ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

შ. ფურცელაძე.

◇

ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა

„დარეჯან ცბიერი“

28 და 30 ოქტომბერს ოპერის თეატრში მიდის მორიგი პრემიერა, მ. ბალანჩივაძის ოპერა „დარეჯან ცბიერი“ („თამარ ცბიერი“). დადგმა რეჟ. სახ. არტ. ალ. წუწუნავასი, მხატვარი ს. ქობულაძე.

მთავარ პარტიებს ასრულებენ ვ. მილკოვა, ნ. ცომაია, ნ. ელიოზიშვილი, ლ. კავსაძე, ს. ქუხიანიძე, გ. შარაშიძე, მ. ყვარელაშვილი. დირიჟორობს შ. აზმაიფარაშვილი.

◇

ქ რ ო ნ ი კ ა

30 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის დირექცია მართავს ქ. კაპანელის ლიტერატურულ მოხსენებას თემაზე: „რომენ როლანი“. მოხსენება გაიმართება საჯარო ბიბლიოთეკაში (კეცხოველის ქ. 5). შესვლა თავისუფალია.

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

28 ოქტომბერს აგიტატორთა კურსების (ველო ჯგუფი) მეცადინეობა. საღამოს 7 საათზე.

საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის პროგრამის მორიგ თემებზე. დღის 3 საათსა და 30 წუთზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია: „ლენინ-სტალინის მოძღვრება ჩამორჩენილი ქვეყნების სოციალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ, კაპიტალისტური განვითარების სტადიის გვერდის ავლით, მოწინავე ქვეყნების გამარჯვებული პროლეტარიატის მხრივ დახმარებითა და მხარისდაჭერით“. საღამოს 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიური საფუძველი“. საღამოს 8 საათზე.

ლქკ კაბინეტი — კონსულტაცია კომკავშირის პროპაგანდისტებისა და აქტივისათვის თემაზე: „ლენინურ-სტალინური გეგმა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდისა“. საღამოს 8 საათზე.

○

— **ორჯონიკიძის სახელობის რაიკომში** დღეს, 28 ოქტომბერს უნდა გამოცხადდნენ შემდეგი ამხანაგები: ი. ი. გოლოვჩენკო, ი. კ. მარკინი, ი. ნ. მამიევი, ა. ხ. ოშაყმაშვილი, ნ. მ. ლუკიანოვა, შ. ა. სოლომონია, მ. ი. მაცურა, გ. ს. მაისაია, ლ. ს. ფილიანი, გ. ბ. ბაგრამოვი, ბ. კ. შარაშიძე, გ. ს. ბერიძე.

— **კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი** იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში გაიმართება დასკვნითი ლექცია თემაზე: „ბოლშევიკების პარტიის ბრძოლა ტროცკისტებისა და „მემარჯვენე“ კომუნისტების წინააღმდეგ იმპერიალისტური ომიდან რევოლუციური გამოსვლისათვის“ — „სოიუზხმლის“, ბაზის ფაბრიკის და სარეწაო კომბინატის საკ. კ.პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი წრეებისათვის. ლექტორი ამხ. [illegible]. ხელმძღვანელობით წრეების ყველა მსმენელის და პროპაგანდისტის დასწრება სავალდებულოა.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრი 1936-37 წ. სეზონი	28 ოქტომბერს	ა რ ს ე ნ ა
	29 ოქტომბერს	ა რ ს ე ნ ა
	სალარო ღიაა 12 საათიდან 8-ნახ. საათამდე დასაწყისი 8 საათზე. 25 ოქტომბრიდან იწარმოებს ნოემბრის და დეკემბრის თვეების მუდმივი ადგილების ბილეთების გაცემა. მეორე გადასახადი სავალდებულოა. თან უნდა იქონიოთ მინდობილობა და გადარიცხვის ცნობა. მუდმ. ადგილ. გაცემა გრძელდება.	

მარჯანიშვილის სახელ. თ ე ა ტ რ ი	28 ოქტომბერს წარ. № 20	მზის დაბნელება საქართველოში
	29 ოქტომბერს წარ. № 21	შ ო რ ე უ ლ ი
	ბილეთები თეატრის სალაროში დილის 12-დან—საღამოს 9 საათამდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. თეატრთან ჩერდება ავტობუსი № 1 და 2.	

სახცირკი
ელბაქიძის დაღმ. 14
ტელ. 3-11-44

დ ღ ე ს, 28 ო ქ ტ ო მ ბ ე რ ს
დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად
მწვრთნელი ნ. პ. გლადილშჩიკოვი
ნარევი ჯგუფი: ლომები, დათვები, მგლები, აფთრები, ძაღლები და სხ. ბიმ-ბომის, პლანეტის, ბალახაშვილების, მირონოვების უკანასკნელი გამოსვლები. 3 რიხტერების, 4 [illegible] პირველი გამოსვლები.
დასაწყისი 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა 12-დან 2 ს-მდე და 5 საათიდან. [illegible] დათვალიერება დღის 12 საათიდან სად. 7 საათამდე და პირველი ანტრაქტის დროს.
30 ოქტ. დღით წარმოდგ. [illegible] დასაწ. [illegible] 2 ს.

სახკინომრეწვის თეატრები

ოქტომბერი ი, 8, 10	ახალი ფერადი საბჭოთა ხმოვანი ფილმი გრუნია კორნაკოვა (სოლოვეი-სოლოვუშკო)
დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45	
კომკავშირელი 6-30, 8-30, 10-30	ხმოვანი ფილმი პეტერბურგის ღამე
რ. ლუქსემბურგის სახ. 6, 7-40, 9-20, 11	ახალი ხმოვანი ფილმი ბედნიერების მაძიებელნი
26 კომუნ. სახ. 8, 10	ხმოვანი კომედია ქალიშვილს პაემანზე ეჩქარება
კომინტერნი 8, 10	ხმოვანი ფილმი ღ ა მ ი ს მ ე ე ტ ლ ე
ახალი ამბები (ქრონიკის თეატრი)	საბჭოთა ხელოვნება № 2, [illegible] ჟურნალები № 44 და № 45.

სრულიად საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის არტელი „ქაფმაუდის“ დასკვნითი

ბ ა ლ ა ნ ს ი

1936 წ. 1 იანვრისათვის

ა ქ ტ ი ვ ი — პ ა ს ი ვ ი

№ რიგზე	მუხლების დასახელება	თ ა ნ ხ ა	№ რიგზე	მუხლების დასახელება	თ ა ნ ხ ა
1	ძირითადი საშუალებანი	37.580—02	1	ფონდები	152.652—89
2	კაპიტალური დაბანდებანი	68.311—84	2	მარეგულირებელი მუხლები	1.054—19
3	საწარმოო მარაგი	157.295—27	3	გრძელვადიანი კრედიტები	59.616—
4	ფულადი საშუალებანი	44.261—24	4	ანგარიშსწორებანი	26.410—62
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	8.095—83	5	დაგროვებანი	147.457—38
6	განზიდული საშუალებანი	71.646—56			
	ბალანსი	387.191—03		ბალანსი	387.191—03

არტელის თავმჯდომარის მაგიერ **საფაროვი გ. ა.** მთავ. ბუღალტერი **მ. ი. კაკულია.**
დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის“ საბალანსო კომისიის მიერ, ო/წ 28/I № 12.
1600

სრულიად საქართველოს სარეწაო კავშირის სისტემის არტელი „რაჭის“ დასკვნითი

ბ ა ლ ა ნ ს ი

1936 წ. 1 იანვრისათვის

ა ქ ტ ი ვ ი — პ ა ს ი ვ ი

№ რიგზე	მუხლების დასახელება	თ ა ნ ხ ა	№ რიგზე	მუხლების დასახელება	თ ა ნ ხ ა
1	ძირითადი საშუალებანი	43.295—37	1	ფონდები	151.678—60
2	საშუალებანი ბრუნვაში	107.263—21	2	მიზნობრივი რეზერვები	38.353—76
3	ფულადი საშუალებანი	122.596—14	3	გრძელვადიანი კრედიტები	48.880—39
4	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	269.918—26	4	ანგარიშსწორებანი	135.310—14
5	ხარჯები მომავალ დროისა	18.491—18	5	დაგროვებანი	367.914—47
6	განზიდული საშუალებანი	160.523—25			
	ბალანსი	742.087—36		ბალანსი	742.087—36

არტელის თავ-რე **მახარაძე.** მთავ. ბუღალტერი **ბ. კერესელიძე.**
დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის“ საბალანსო კომისიის მიერ.
1602

თანახმად საქ. მინსახკომის ა-წ. 16 სექტემბრის დადგენილებისა
ხდება საქ. მეფუტკრეობის სასწავლო-საცდელი სადგურის
ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა.

დაწესებულებებმა, წარმოებებმა და სხვადასხვა პირებმა, ვისაც აქვს რაიმე პრეტენზია აღნიშნულ სადგურთან, ან ვისაც წარმოუდგენიათ იგი ლიკვიდკომს საქ. მესაქონლეობის ინსტიტუტში (სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის შენობა) ამ განცხადების მომენტიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზია აღარ მიიღება.
16525 ლ ი კ ვ ი დ კ ო მ ი.

თანახმად საქკოოპინვკავშირის სანქციისა და წევრთა ა-წ. 21 ოქტომბრის დადგენილებისა, № 81,
ხდება ლანჩხუთის ინვალიდთა არტელის
„წითელი ინვალიდის“ ლ ი კ ვ ი დ ა ც ი ა.

ლიკვიდკომი აცნობებს მოქ. საყურადღებოდ, რომ თუ ვისმე რაიმე პრეტენზია აქვს, შეუძლია განცხადებით მიმართოს ლიკვიდკომს ქ. ლანჩხუთში. განცხადების შეტანის ვადა განსაზღვრულია ა წ. 10 ნოემბრამდე.
16524

ექიმი ი. ქიქოშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად.
მიღება დილის 8—9 ს. და სად. 6—8 საათ.
მისამართი: კამოს ქ. № 72.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება პროფესორ
სიმონ სარდიონის-ძე ამირაჯიბის
გარდაცვალებას.
16526

მისამართები: რედაქციის—ტფილისი. რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88. განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40. მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული ა—8077